

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, განსაზღვროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპები ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს.

მიზნის მიღწევა

2. 1-ელ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად, წინამდებარე სტანდარტი:
 - ა) მოითხოვს, რომ საწარმომ (*მშობელმა საწარმომ*), რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს (*შვილობილ საწარმოს*), წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
 - ბ) განმარტავს კონტროლის პრინციპს და კონტროლის არსებობა განსაზღვრულია, როგორც კონსოლიდაციის საფუძველი;
 - გ) განმარტავს, როგორ გამოიყენება კონტროლის პრინციპი იმის დასადგენად, აკონტროლებს თუ არა ინვესტორი ინვესტირებულ საწარმოს და, მაშასადამე, უნდა მოახდინოს თუ არა ინვესტორმა მისი კონსოლიდაცია;
 - დ) ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად; და
 - ე) განმარტავს საინვესტიციო საწარმოს და ადგენს გარკვეულ გამონაკლის საინვესტიციო საწარმოს ცალკეული შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციისთვის.
3. წინამდებარე სტანდარტი არ მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება საწარმოთა გაერთიანების, მათ შორის, საწარმოთა გაერთიანების დროს წარმოქმნილი გუდვილის ბუღალტრულ აღრიცხვას და მათ გავლენას კონსოლიდაციაზე (იხ. ფასს 3 – „საწარმოთა გაერთიანება“).

მოქმედების სფერო

4. მშობელმა საწარმომ უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ეს სტანდარტი ვრცელდება ყველა მშობელ საწარმოზე, შემდეგის გარდა:
 - ა) მშობელი საწარმო ვალდებული არ არის, წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:
 - (i) მშობელი საწარმო თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი ხმის უფლებით, ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მშობელი საწარმო არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის წინააღმდეგ არ წასულან;
 - (ii) მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე (ადგილობრივი ან უცხოური საფონდო ბირჟა, ან არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების (მეორადი ბაზარი), როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული);
 - (iii) მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის; და

- (iv) მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი საწარმოები ან კონსოლიდირებულია, ან შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.
- ბ) [გაუქმებულია]
- გ) [გაუქმებულია]
- 4ა. მოცემული სტანდარტი არ ეხება დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების ან სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამებს, რომელთან მიმართებაშიც გამოიყენება ბასს 19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“.
- 4ბ. მშობელ საწარმოს, რომელიც საინვესტიციო საწარმოს წარმოადგენს, არ ევალება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე სტანდარტის 31-ე პუნქტის შესაბამისად მოითხოვება ყველა მისი შვილობილი საწარმოს შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კონტროლი

- 5. ინვესტორმა, მიუხედავად მისი მონაწილეობის ხასიათისა ამა თუ იმ საწარმოში (ინვესტირებული საწარმო), უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს, რისთვისაც უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს.
- 6. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.
- 7. ამგვარად, ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:
 - ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით (იხ. პუნქტები 10-14);
 - ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება (იხ. მე-15 და მე-16 პუნქტები); და
 - გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით (იხ. მე-17 და მე-18 პუნქტები).
- 8. ინვესტორმა უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, რათა დაადგინოს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს. თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, რომ შეიცვალა მე-7 პუნქტში ჩამოთვლილი, კონტროლის არსებობის განმსაზღვრელი ერთი ან მეტი ელემენტი, ინვესტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს (იხ. პუნქტები 880-885).
- 9. ორი ან რამდენიმე ინვესტორი კოლექტიურად აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ მათ ერთად უნდა იმოქმედონ რელევანტური საქმიანობების მართვის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან არც ერთ ინვესტორს არ შეუძლია ამ საქმიანობების მართვა სხვებთან თანამშრომლობის გარეშე, ცალ-ცალკე არც ერთი ინვესტორი არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს. თითოეულმა ინვესტორმა თავისი მონაწილეობის წილი ინვესტირებულ საწარმოში უნდა აღრიცხოს შესაფერისი სტანდარტების მიხედვით, როგორცაა ფასს 11 – „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს 28 – „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“, ან ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“.

უფლებამოსილება

10. ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც აქვს მოქმედი (ძალაში შესული) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების (ე.ი. საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე) მართვის შესაძლებლობას აძლევს.
11. უფლებამოსილება წარმოიშობა უფლებებიდან. ზოგჯერ მარტივია უფლებამოსილების დადგენა, მაგალითად, როდესაც ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება უფრო რთული იყოს უფლებამოსილების დადგენა და საჭირო გახდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც უფლებამოსილება წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან.
12. ინვესტორს, რომელსაც გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა, უფლებამოსილება მაშინაც კი აქვს, თუ ჯერ არ მომხდარა მისთვის მინიჭებული მართვის უფლებების რეალიზება. მტკიცებულება იმისა, რომ ინვესტორს განხორციელებული აქვს რელევანტური საქმიანობების მართვა, შეიძლება ინვესტორს დაეხმაროს იმის დადგენაში, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება, მაგრამ მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობა, თავისთავად, გადამწყვეტი არ არის იმის დასადგენად, აქვს თუ არა ინვესტორს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.
13. თუ ორ ან რამდენიმე ინვესტორს, თითოეულს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას სხვადასხვა რელევანტური საქმიანობის ცალმხრივად მართვის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით იმ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება, რომელსაც აქვს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე.
14. ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილება შეიძლება იმ შემთხვევაშიც გააჩნდეს, თუ სხვა საწარმოებს აქვთ ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მათ მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს, მაგალითად, როდესაც სხვა საწარმოს გააჩნია *მნიშვნელოვანი გავლენა*. თუმცა, ინვესტორს, რომელსაც მხოლოდ დამცავი უფლებები აქვს, არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით (იხ. პუნქტები ბ26-ბ28) და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს.

შემოსავლები

15. ინვესტორი მაშინ ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, თუ მისი მონაწილეობით განპირობებული შემოსავლები შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ინვესტორის შემოსავლები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, მხოლოდ უარყოფითი, ან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.
16. მართალია, მხოლოდ ერთ ინვესტორს შეუძლია ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელება, მაგრამ ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებს შეიძლება რამდენიმე მხარე იყოფდეს. მაგალითად, არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს შეუძლიათ მონაწილეობა მოგებაში, ან ინვესტირებული საწარმოს მიერ განხორციელებულ განაწილებებში.

კავშირი უფლებამოსილებასა და შემოსავლებს შორის

17. ინვესტორი მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია არა მარტო უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, არამედ იმავდროულად აქვს იმის უნარი, თავისი უფლებამოსილება

გამოიყენოს ინვესტირებულ საწარმოში მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

18. ამგვარად, ინვესტორმა, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებები, უნდა დაადგინოს, ის მარწმუნებელია თუ რწმუნებული. ინვესტორს, რომელიც რწმუნებულად მიიჩნევა ბ58-ბ72 პუნქტების შესაბამისად, არ გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც იყენებს მასზე დელეგირებულ გადაწყვეტილების მიღების უფლებებს.

ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები

19. მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ.
20. ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაცია უნდა დაიწყოს იმ თარიღიდან, როდესაც ინვესტორი მოიპოვებს კონტროლს ინვესტირებულ საწარმოზე და უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც ინვესტორი კონტროლს დაკარგავს ინვესტირებულ საწარმოზე.
21. ბ86-ბ93 პუნქტებში მოცემულია მითითებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით.

არამაკონტროლებელი წილი

22. მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილი უნდა წარადგინოს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა კაპიტალისგან განცალკევებით.
23. შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, აისახება როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაციები (ანუ შვილობილი საწარმოს მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან შესრულებული ოპერაციები).
24. ბ94-ბ96 პუნქტებში მოცემულია მითითებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილის ასახვასთან დაკავშირებით.

კონტროლის დაკარგვა

25. თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, იგი:
 - ა) წყვეტს ყოფილი შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
 - ბ) ყოფილ შვილობილ საწარმოში დარჩენილ ინვესტიციას აღიარებს კონტროლის დაკარგვის თარიღისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით და შემდგომში ამ ინვესტიციას და ასევე ყოფილი შვილობილი საწარმოდან მისაღებ, ან მისთვის გადასახდელი ნებისმიერი დავალიანების თანხას ასახავს სხვა შესაფერისი სტანდარტების შესაბამისად. ზემოაღნიშნული რეალური ღირებულება მიიჩნევა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ რეალურ ღირებულებად, ან როდესაც შესაფერისია, თვითღირებულებად, მეკავშირე საწარმოში, ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის საწყისი აღიარებისას;
 - გ) აღიარებს კონტროლის დაკარგვასთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც მისაკუთვნებელია ყოფილ მაკონტროლებელ წილზე.
26. ბ97-ბ99 პუნქტებში მოცემულია მითითებები კონტროლის დაკარგვის აღრიცხვის წესებთან დაკავშირებით.

როგორ განისაზღვრება, საწარმო მიიჩნევა თუ არა საინვესტიციო საწარმოდ

27. მშობელმა საწარმომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ის საინვესტიციო საწარმო. საინვესტიციო ისეთი საწარმოა, რომელიც:
- ფულად სახსრებს მოიპოვებს ერთი ან მეტი ინვესტორისგან, რათა ამ ინვესტორ(ებ)ს გაუწიოს ინვესტიციების მართვის მომსახურება;
 - თავისი ინვესტორ(ებ)ის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ მისი საქმიანობის მიზანია, სახსრები დააბანდოს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შემოსავალი მიიღოს კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად, საინვესტიციო შემოსავლის სახით, ან ორივე გზით; და
 - ფაქტობრივად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს ზომავს და აფასებს რეალური ღირებულების საფუძველზე.
- ამ განმარტების გამოყენების შესაფერისი მითითებები მოცემულია ბ85ა-ბ85ნ პუნქტებში.
28. იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა 27-ე პუნქტში აღწერილ განმარტებას, საწარმომ უნდა განიხილოს, ახასიათებს თუ არა მას საინვესტიციო საწარმოს შემდეგი ტიპური ნიშნები:
- გააჩნია ერთზე მეტი ინვესტიცია (იხ. პუნქტები ბ85პ-ბ85ჟ);
 - ჰყავს ერთზე მეტი ინვესტორი (იხ. პუნქტები ბ85რ-ბ85ტ);
 - ჰყავს ინვესტორები, რომლებიც არ არიან საწარმოსთვის დაკავშირებული მხარეები (იხ. პუნქტები ბ85უ- ბ85ფ); და
 - გააჩნია საკუთრების წილი საკუთარი კაპიტალის ფორმით, ან ანალოგიური წილები (იხ. პუნქტები ბ85ქ-ბ85ღ).
- რომელიმე ზემოაღნიშნული ტიპური ნიშნის არქონა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო არ კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო საწარმო. საინვესტიციო საწარმო, რომელსაც არ გააჩნია ყველა ტიპური ნიშანი, განმარტებით შენიშვნებში წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას ფასს 12-ის – „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ – 9ა პუნქტის შესაბამისად.
29. თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, რომ შეიცვალა 27-ე პუნქტში აღწერილი საინვესტიციო საწარმოს განმარტების შემადგენელი სამი ელემენტიდან ერთი ან მეტი, ან 28-ე პუნქტში აღწერილი საინვესტიციო საწარმოს ტიპური ნიშნები, მშობელმა საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს, არის თუ არა ის საინვესტიციო საწარმო.
30. მშობელმა საწარმომ, რომელიც აღარ კლასიფიცირდება საინვესტიციო საწარმოდ, ან პირიქით, გახდება საინვესტიციო საწარმო, თავისი სტატუსის შეცვლა უნდა ასახოს პერსპექტიულად იმ თარიღიდან, როდესაც შეიცვალა მისი საკლასიფიკაციო სტატუსი (იხ. პუნქტები ბ100-ბ101).

საინვესტიციო საწარმოები: კონსოლიდაციისგან განთავისუფლება

31. 32-ე პუნქტში აღწერილი შემთხვევის გარდა, სხვა შემთხვევაში, საინვესტიციო საწარმომ არ უნდა მოახდინოს თავისი შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია, არც ფასს 3 უნდა გამოიყენოს, როდესაც მოიპოვებს კონტროლს სხვა საწარმოზე. ამის ნაცვლად, საინვესტიციო საწარმომ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით ფასს 9-ის შესაბამისად¹.
32. მიუხედავად 31-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისა, თუ საინვესტიციო საწარმოს გააჩნია შვილობილი საწარმო, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო და მისი ძირითადი მიზანი და საქმიანობა ისეთი მომსახურების გაწევაა, რომელიც დაკავშირებულია მოცემული საინვესტიციო საწარმოს საინვესტიციო საქმიანობასთან (იხ. პუნქტები ბ85გ-ბ85ე), მან

¹ ფასს 10-ის – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ – გ7 პუნქტში აღნიშნულია, რომ „თუ საწარმო წინამდებარე სტანდარტს იყენებს, მაგრამ ჯერ არ იყენებს ფასს 9-ს, მან უნდა იგულისხმოს ბასს 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ – ყველგან, სადაც მითითებულია ფასს 9-ის გამოყენება.

უნდა მოახდინოს ამ შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია წინამდებარე სტანდარტის 19-26-ე პუნქტების შესაბამისად და ფასს 3-ის მოთხოვნები გამოიყენოს ნებისმიერი ამგვარი შვილობილი საწარმოს შექმნასთან მიმართებით.

33. საინვესტიციო საწარმოს მშობელმა საწარმომ უნდა მოახდინოს ყველა იმ საწარმოს კონსოლიდაცია, რომელსაც აკონტროლებს, მათ შორის ისეთის, რომლებზეც კონტროლი ხორციელდება საინვესტიციო საწარმოს შვილობილი საწარმოს მეშვეობით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც თვითონ მშობელი საწარმო საინვესტიციო საწარმოა.

დანართი ა

ტერმინების განმარტება

ეს დანართი სტანდარტის განყოფილი ნაწილია.

**კონსოლიდირებული
ფინანსური
ანგარიშგება**

საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები.

**ინვესტირებული
საწარმოს კონტროლი**

ინვესტორს გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, თუ ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავლების სიდიდეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

**გადაწყვეტილების
მიღები სუბიექტი**

საწარმო, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლება და სხვა მხარეებისთვის წარმოადგენს ან მარწმუნებელს, ან რწმუნებულს.

საწარმოთა ჯგუფი

მშობელი საწარმო და მისი შვილობილი საწარმოები.

საინვესტიციო საწარმო

საწარმო, რომელიც:

- ა) სახსრებს მოიპოვებს ერთი ან მეტი ინვესტორისგან, რათა ამ ინვესტორ(ებ)ს გაუწიოს ინვესტიციების მართვის მომსახურება;
- ბ) იღებს ვალდებულებას თავისი ინვესტორ(ებ)ის წინაშე, რომ მისი საქმიანობის მიზანია, სახსრები დააბანდოს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შემოსავალი მიიღოს კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად, საინვესტიციო შემოსავლის სახით, ან ორივე გზით; და
- გ) ფაქტობრივად, ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს ზომავს და აფასებს რეალური ღირებულების საფუძველზე.

**არამაკონტროლებელი
წილი**

შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.

მშობელი საწარმო

საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს.

უფლებამოსილება

ძალაში შესული (მოქმედი) უფლებები, რომლებიც მოცემულ მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას იძლევა.

დამცავი უფლებები

უფლებები, რომელთა მიზანია ამ უფლებებით აღჭურვილი მხარის ინტერესების დაცვა, მაგრამ ამ მხარეს არ ანიჭებს უფლებამოსილებას იმ საწარმოსთან მიმართებით, რომელთანაც დაკავშირებულია ეს უფლებები.

**რელევანტური
საქმიანობები**

წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, რელევანტური საქმიანობები აღნიშნავს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე.

ჩამორთმევის უფლება	უფლება იმისა, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს ჩამოართვას გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.
შვილობილი საწარმო	საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო.

შემდეგი ტერმინები განმარტებულია ფასს 11-ში, ფასს 12-ში – „*განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ*“, ბასს 28-ში (2011 წლის შეცვლილი ვერსია), ან ბასს 24-ში – „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ და წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რაც მინიჭებული აქვს ზემოხსენებულ სტანდარტებში:

- მეკავშირე საწარმო;
- მონაწილეობა სხვა საწარმოში;
- ერთობლივი საწარმო;
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალი;
- დაკავშირებული მხარე;
- მნიშვნელოვანი გავლენა.

დანართი ბ

მითითებები გამოყენებაზე

ეს დანართი სტანდარტის განყოფილი ნაწილია. მასში აღწერილია 1-33 პუნქტების გამოყენება და ისეთივე ძალა აქვს, როგორც წინამდებარე სტანდარტის სხვა ნაწილებს.

- ბ1. წინამდებარე დანართში განხილული მაგალითები ასახავს ჰიპოთეზურ სიტუაციებს. მართალია, ამ მაგალითების ზოგიერთი ასპექტი შეიძლება რეალურ ცხოვრებაშიც შეგვხვდეს, მაგრამ ფასს 10-ის გამოყენებისას აუცილებელია, რომ საწარმომ შეაფასოს ყველა შესაფერისი ფაქტი და გარემოება.

კონტროლის არსებობის შეფასება

- ბ2. იმის დასადგენად, ინვესტორი აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, მან უნდა შეაფასოს, გააჩნია თუ არა მას ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:
- ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით;
 - ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება; და
 - გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების სიდიდეზე ზემოქმედების განსახორციელებლად.
- ბ3. კონტროლის არსებობის დადგენაში საწარმოს შეიძლება დაეხმაროს შემდეგი ფაქტორების განხილვა:
- ა) ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა (იხ. პუნქტები ბ5-ბ8);
 - ბ) რომელია რელევანტური საქმიანობები და როგორ მიიღება გადაწყვეტილებები მათ შესახებ (იხ. პუნქტები ბ11-ბ13);
 - გ) ინვესტორის უფლებები აძლევს თუ არა მას მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობას, რომ მართოს რელევანტური საქმიანობები (იხ. პუნქტები ბ14-ბ54);
 - დ) ექვემდებარება თუ არა რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია თუ არა ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება (იხ. პუნქტები ბ55-ბ57); და
 - ე) გააჩნია თუ არა ინვესტორს იმის შესაძლებლობა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების სიდიდეზე ზემოქმედების განსახორციელებლად (იხ. პუნქტები ბ58-ბ72).
- ბ4. როდესაც ინვესტორი აფასებს ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის არსებობას, მან უნდა განიხილოს სხვა მხარეებთან თავის ურთიერთობის ხასიათი (იხ. პუნქტები ბ73-ბ75).

ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა

- ბ5. როდესაც ინვესტორი აფასებს ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის არსებობას, მან უნდა განიხილოს ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა, რათა დაადგინოს რელევანტური საქმიანობები, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების შესახებ, ვის გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა და ვინ იღებს შემოსავალს ამ საქმიანობებიდან.

- ბ6. ინვესტირებული საწარმოს მიზნისა და სტრუქტურის ანალიზიდან შეიძლება გამოვლინდეს, რომ ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლი ხორციელდება წილობრივი ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებიც მის მფლობელს პროპორციული ხმის უფლებებს ანიჭებს, როგორცაა, მაგალითად, ინვესტირებული საწარმოს ჩვეულებრივი აქციები. ასეთ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რაიმე დამატებითი შეთანხმებები, რომლებიც ცვლის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, კონტროლის შეფასება მიმართული იქნება იმის დადგენაზე, რომელ მხარეს, თუ ასეთი არსებობს, შეუძლია იმდენი ხმის უფლების გამოყენება, რაც საკმარისი იქნება ინვესტირებული საწარმოს საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრისთვის (იხ. პუნქტები ბ34-ბ50). ყველაზე მარტივ შემთხვევაში, კონტროლი გააჩნია იმ ინვესტორს, რომელიც ფლობს ხმის უფლებების უმეტესობას (საკონტროლო პაკეტს), თუ არ არსებობს რაიმე სხვა ფაქტორები.
- ბ7. იმის დასადგენად, ინვესტორი აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს უფრო რთულ სიტუაციებში, შეიძლება აუცილებელი გახდეს ბ3 პუნქტში აღწერილი ზოგიერთი ან ყველა ფაქტორის განხილვა.
- ბ8. შესაძლოა ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურა იმგვარად იყოს ორგანიზებული, რომ ხმის უფლებები არ წარმოადგენდეს გადამწყვეტ ფაქტორს იმის დადგენაში, ვინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, მაგალითად, როდესაც ხმის უფლებები დაკავშირებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ ამოცანებთან და რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება სახელშეკრულებო შეთანხმებების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ინვესტორმა ინვესტირებული საწარმოს მიზნისა და სტრუქტურის ანალიზის დროს უნდა განიხილოს აგრეთვე რისკები, რომელთა საკუთარ თავზე აღება ინვესტირებული საწარმოს მხრიდან, გათვალისწინებული იყო ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურის ორგანიზების დროს; რისკები, რომელთა გადაცემაც გათვალისწინებული იყო ინვესტირებულ საწარმოში მონაწილე სხვა მხარეებზე და ინვესტორი ყველა ამგვარ რისკს ექვემდებარება თუ ზოგიერთს. რისკების განხილვა მოიცავს არა მარტო აქციის კურსის დაცემის რისკებს, არამედ აქციის კურსის აწევის რისკებსაც.

უფლებამოსილება

- ბ9. იმისათვის, რომ ინვესტორს გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, მას უნდა გააჩნდეს ძალაში შესული (მოქმედი) უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს. უფლებამოსილების შეფასების მიზნებისთვის, განიხილება მხოლოდ რეალური უფლებები და ისეთი უფლებები, რომლებიც არ წარმოადგენს დამცავ უფლებებს (იხ. ბ22-ბ28 პუნქტები).
- ბ10. ინვესტორის უფლებამოსილების არსებობის დადგენა დამოკიდებულია რელევანტურ საქმიანობებზე, როგორც, რა გზით ხდება გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების შესახებ და ასევე იმ უფლებებზე, რომლებიც ინვესტორსა და სხვა მხარეებს გააჩნიათ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

რელევანტური საქმიანობები და მათი მართვა

- ბ11. ბევრი ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობა. ქვემოთ განხილულია ისეთი საქმიანობების მაგალითები, რომლებიც, გარემოებებისა და მიხედვით, შეიძლება იყოს რელევანტური საქმიანობები, თუმცა მაგალითები არ შემოიფარგლება მარტო ამით:
- საქონლის, ან მომსახურების გაყიდვა და ყიდვა;
 - ფინანსური აქტივების მართვა მათი ვადის განმავლობაში (მათ შორის, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში);
 - აქტივების შერჩევა, შეძენა, ან გასხვისება;
 - ახალი პროდუქტების, ან პროცესების სამეცნიერო კვლევა და დამუშავება; და
 - დაფინანსების სტრუქტურის განსაზღვრა, ან დაფინანსების მოპოვება.

- ბ12. სხვასთან ერთად, რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მაგალითებია:
- ა) გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ინვესტირებული საწარმოს საოპერაციო საქმიანობასა და კაპიტალს, მათ შორის ბიუჯეტებს; და
 - ბ) გადაწყვეტილებები ინვესტირებული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის, ან მომსახურების პროვაიდერების დანიშვნისა და ანაზღაურების შესახებ, ასევე მათთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ.
- ბ13. ზოგ შემთხვევაში, რელევანტური შეიძლება იყოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება კონკრეტული გარემოებების გარკვეული ერთობლიობის ან კონკრეტული მოვლენების დადგომამდე, ან მის შემდეგ. როდესაც ორ ან რამდენიმე ინვესტორს გააჩნია მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს რელევანტური საქმიანობები და ეს საქმიანობები ხორციელდება სხვადასხვა დროს, ინვესტორებმა უნდა დაადგინონ, რომელ ინვესტორს შეუძლია ისეთი საქმიანობების მართვა, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე, გადაწყვეტილებების მიღების პარალელური უფლებების გათვალისწინებით (იხ. მე-13 პუნქტი). დროთა განმავლობაში ინვესტორებმა ხელახლა უნდა განიხილონ ზემოაღნიშნული შეფასება, თუ შეიცვლება შესაბამისი ფაქტები და გარემოებები.

გამოყენების მაგალითები
<p>1-ლი მაგალითი</p> <p>ორი ინვესტორი ქმნის ინვესტირებულ საწარმოს, ახალი მედიკამენტების დასამუშავებლად და გასაყიდად. ერთ-ერთი ინვესტორი პასუხისმგებელია მედიკამენტის დამუშავებასა და მარეგულირებელი ორგანოდან მედიკამენტის წარმოებაზე სათანადო ნებართვის მოპოვებაზე; აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს ინვესტორი იღებს ცალმხრივად ყველანაირ გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება პროდუქტის დამუშავებასა და მარეგულირებელი ორგანოდან ნებართვის მოპოვებას. როგორც კი მარეგულირებელი ორგანო დაამტკიცებს პროდუქტს, მეორე ინვესტორი იწყებს მის წარმოებასა და გაყიდვას. მეორე ინვესტორს გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ ცალმხრივად მიიღოს ყველანაირი გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტის წარმოებასა და გაყიდვასთან. თუ ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობა: მედიკამენტის დამუშავება და მარეგულირებელი ორგანოდან ნებართვის მოპოვება, ასევე მისი წარმოება და გაყიდვა – რელევანტური საქმიანობებია, მაშინ თითოეულმა ინვესტორმა უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა მას შესაძლებლობა, მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. შესაბამისად, თითოეულმა ინვესტორმა უნდა განიხილოს, რომელი საქმიანობა ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე – მედიკამენტის დამუშავება და მარეგულირებელი ორგანოდან ნებართვის მოპოვება, თუ მედიკამენტის წარმოება და გაყიდვა და შეუძლია თუ არა მას ამ საქმიანობის მართვა. იმის დასადგენად, რომელ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, ინვესტორებმა უნდა განიხილონ:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა; ბ) ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ინვესტირებული საწარმოს მოგების მარჟას, მის ამონაგებსა და ღირებულებას, ასევე მედიკამენტის ღირებულებას; გ) რა გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე თითოეული ინვესტორის მიერ (ბ) პუნქტში ჩამოთვლილ ფაქტორებთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების რეალიზება; და დ) ინვესტორების დაქვემდებარება ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებულ რისკებზე. <p style="text-align: right;"><i>გაგრძელება</i></p>

გამოყენების მაგალითები

ამ კონკრეტულ მაგალითში, ინვესტორებმა ასევე უნდა განიხილონ:

- ე) განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია მარეგულირებელი ორგანოდან ნებართვის მოპოვებასთან (მედიკამენტების დამუშავებისა და მარეგულირებელი ორგანოდან ნებართვის მოპოვების საქმეში ინვესტორის წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით) და ძალისხმევა (სამუშაო), რომელიც აუცილებელია ამგვარი ნებართვის მისაღებად; და
- ვ) რომელი ინვესტორი აკონტროლებს მედიკამენტს მას შემდეგ, რაც მისი დამუშავების საცდელ-საკონსტრუქტორო ეტაპი წარმატებით დასრულდება.

მე-2 მაგალითი

საინვესტიციო სტრუქტურა (ინვესტირებული საწარმო) იქმნება და ფინანსდება სავალო ინსტრუმენტით, რომლის მფლობელია ერთ-ერთი ინვესტორი (სავალო ინსტრუმენტების ინვესტორი) და წილობრივი ინსტრუმენტებით, რომლის მფლობელები რამდენიმე სხვა ინვესტორია. წილობრივი ინსტრუმენტების მოცემული ნაწილის გამოშვება მიზნად ისახავს ინვესტირებული საწარმოს საწყისი ზარალის შთანთქმას და ნარჩენი შემოსავლის მიღებას ინვესტირებული საწარმოდან. წილობრივი ინსტრუმენტების ერთ-ერთი ინვესტორი, რომელსაც აქციების 30% ეკუთვნის, იმავდროულად არის აქტივების მმართველი. ინვესტირებული საწარმო თავის შემოსავლებს იყენებს ფინანსური აქტივების პორტფელის შესაძენად, უქვემდებარებს რა ინვესტირებულ საწარმოს საკრედიტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია აქტივების ძირითადი თანხისა და პროცენტების შესაძლო გადაუხდელობასთან. სავალო ინსტრუმენტების ინვესტორს ამ ოპერაციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება, როგორც მინიმალური საკრედიტო რისკის მქონე ინვესტიცია, რომელიც დაკავშირებულია პორტფელის შემადგენლობაში მყოფ აქტივებთან დაკავშირებული თანხების შესაძლო გადაუხდელობასთან, რასაც განაპირობებს ამ აქტივების ხასიათი და ის ფაქტი, რომ წილობრივი ინსტრუმენტების მოცემული სერიის გამოშვება გამიზნულია ინვესტირებული საწარმოს თავდაპირველი ზარალის შთანთქმისთვის.

ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს აქტივების პორტფელის მართვა, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებას აქტივების შერჩევის, შეძენისა და გასხვისების შესახებ პორტფელის მართვის ინსტრუქციების ფარგლებში, ასევე მართვის ღონისძიებებს, პორტფელის აქტივებთან დაკავშირებული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში. ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობის მართვას ახორციელებს აქტივების მმართველი იქამდე, სანამ გადაუხდელი თანხის ოდენობა არ მიაღწევს პორტფელის ღირებულების გარკვეულ (წინასწარ დადგენილ) ხვედრით წილს (ე.ი. როდესაც პორტფელის ღირებულება იმდენია, რომ შთაინთქმება ინვესტირებული საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვება). ამ მომენტიდან, აქტივების მართვას ახორციელებს ნდობით აღჭურვილი მესამე მხარე, სავალო ინსტრუმენტების ინვესტორის მიერ მიცემული ინსტრუქციებით.

ინვესტირებული საწარმოს აქტივების პორტფელის მართვა ინვესტირებული საწარმოს რელევანტურ საქმიანობას წარმოადგენს. აქტივების მმართველს რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა გააჩნია მანამ, სანამ აქტივებთან დაკავშირებული გადაუხდელი თანხების ოდენობა არ მიაღწევს პორტფელის ღირებულების წინასწარდადგენილ ხვედრით წილს. სავალო ინსტრუმენტების ინვესტორს რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა გააჩნია მაშინ, როდესაც აქტივებთან დაკავშირებული გადაუხდელი თანხების ოდენობა (ღირებულება) გადააჭარბებს პორტფელის ღირებულების მიმართ წინასწარდადგენილ თანაფარდობას. აქტივების მმართველმა და სავალო ინსტრუმენტების ინვესტორმა, თითოეულმა უნდა დაადგინოს, შეუძლიათ თუ არა მათ ისეთი საქმიანობების მართვა, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე, მათ შორის, უნდა გაითვალისწინონ ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა, ასევე თითოეული მხარის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან.

უფლებები, რომლებიც ინვესტორს უფლებამოსილებას ანიჭებს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით

- ბ14. უფლებამოსილებას წარმოშობს უფლებები. იმისათვის, რომ ინვესტორს გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, მას უნდა გააჩნდეს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც ინვესტორს მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს. უფლებები, რომლებსაც შეუძლია ინვესტორს უფლებამოსილება მიანიჭოს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს სხვადასხვა ინვესტორისთვის.
- ბ15. ქვემოთ განხილულია ისეთი უფლებების მაგალითები, რომლებსაც ინდივიდუალურად, ან ერთობლივად შეუძლია ინვესტორისთვის უფლებამოსილების მინიჭება, თუმცა ეს მაგალითები ამომწურავი არ არის:
- ა) უფლებები ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების (ან პოტენციური ხმის უფლებების) ფორმით (იხ. პუნქტები ბ34-ბ50);
 - ბ) ინვესტირებული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან განთავისუფლების უფლებები, რომელსაც გააჩნია რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა;
 - გ) სხვა საწარმოს დანიშვნის ან განთავისუფლების უფლებები, რომელსაც გააჩნია რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა;
 - დ) უფლებები, ინვესტირებულ საწარმოს მისცეს მითითებები ნებისმიერი გარიგების დადების შესახებ, ან ვეტო დაადოს ამა თუ იმ გარიგების ნებისმიერ ცვლილებებს ინვესტორის სასარგებლოდ; და
 - ე) სხვა უფლებები (როგორცაა, მაგალითად მართვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებები), რომლებიც მის მფლობელს რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას ანიჭებს.
- ბ16. საზოგადოდ, როდესაც ინვესტირებული საწარმო ახორციელებს სხვადასხვა სახის საოპერაციო და საფინანსო საქმიანობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე და ამ საქმიანობების განხორციელება მუდმივად საჭიროებს გადაწყვეტილებების მიღებას საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, მაშინ უფლებები, რომლებიც ინვესტორს უფლებამოსილებას ანიჭებს თავისთავად, ან სხვა უფლებებთან ერთად, იქნება ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები.
- ბ17. იმ შემთხვევაში, თუ ხმის უფლებები მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე, მაგალითად, როდესაც ხმის უფლებები დაკავშირებულია მხოლოდ ადმინისტრაციულ ამოცანებთან და სახელშეკრულებო შეთანხმება არეგულირებს რელევანტური საქმიანობის მართვის საკითხებს, ინვესტორმა უნდა შეაფასოს ეს სახელშეკრულებო შეთანხმებები, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას საკმარისი უფლებები, რომლებიც მას მიანიჭებს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას. იმის დასადგენად, გააჩნია თუ არა ინვესტორს საკმარისი უფლებები, რომლებიც მას მიანიჭებს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას, ინვესტორმა ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა უნდა განიხილოს (იხ. პუნქტები ბ5-ბ8) და ასევე ბ51-ბ54 პუნქტებისა და ბ18-ბ20 პუნქტების მოთხოვნები ერთად.
- ბ18. გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება ძნელი იყოს იმის დადგენა, გააჩნია თუ არა ინვესტორს საკმარისი უფლებები, რომლებიც მას მიანიჭებს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილების არსებობის შესაფასებლად ინვესტორმა უნდა განიხილოს მტკიცებულებები იმისა, გააჩნია თუ არა მას რელევანტური საქმიანობის ცალმხრივად მართვის პრაქტიკული შესაძლებლობა. ამ კონტექსტში, ინვესტორმა უნდა განიხილოს შემდეგი ფაქტორები (თუმცა, შეზღუდული არ არის მართლ ამ ფაქტორებით), რომლებმაც, თუ განიხილავს თავის უფლებებთან და ბ19 და ბ20 პუნქტებში აღწერილ ნიშნებთან ერთად, შეიძლება ინვესტორი უზრუნველყოს მტკიცებულებებით იმის შესახებ, გააჩნია თუ არა მას საკმარისი უფლებები, რომლებიც მას მიანიჭებს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას:

- ა) ინვესტორს შეუძლია დანიშნოს, ან დაამტკიცოს ინვესტირებული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის წევრები, რომლებსაც გააჩნიათ რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა ისე, რომ არ გააჩნდეს ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო უფლება;
- ბ) ინვესტორს შეუძლია, თავის სასარგებლოდ ინვესტირებულ საწარმოს მისცეს მითითებები ნებისმიერი გარიგების დადების შესახებ, ან ვეტო დაადოს ამა თუ იმ გარიგების ნებისმიერ ცვლილებებს ისე, რომ არ გააჩნდეს ამგვარი ქმედების სახელშეკრულებო უფლება;
- გ) ინვესტორს შეუძლია, გადამწყვეტი როლი ითამაშოს ან ინვესტირებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების კანდიდატურების შერჩევის პროცესში, ან ამგვარი უფლებამოსილების მოპოვებაში სხვა ხმის უფლებების მქონე სუბიექტებისგან;
- დ) ინვესტირებული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის წევრები ინვესტორის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ (მაგალითად, ინვესტირებული საწარმოსა და ინვესტორის მთავარი აღმასრულებელი პირი ერთი და იგივე პიროვნება);
- ე) ინვესტირებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა ინვესტორის დაკავშირებული მხარეები არიან.
- ბ19. ზოგ შემთხვევაში, იარსებებს რაღაც ნიშნები იმისა, რომ ინვესტორს გააჩნია განსაკუთრებული ურთიერთობა ინვესტირებულ საწარმოსთან, რაც იმას გულისხმობს, რომ ინვესტორის ინტერესი ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით არ შემოიფარგლება მარტო მისი პასიური მონაწილეობით. ერთი ან რამდენიმე ამგვარი ნიშნის არსებობა აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ უფლებამოსილების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. თუმცა, როდესაც ინვესტორის მონაწილეობა ინვესტირებულ საწარმოში მის უბრალო პასიურ მონაწილეობას აღემატება, შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ინვესტორს გააჩნია სხვა ისეთი მსგავსი უფლებები, რომლებიც მას უფლებამოსილებას ანიჭებს, ან მტკიცებულებებს უზრუნველყოფს არსებულ უფლებამოსილებაზე ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. მაგალითად, შემდეგი სიტუაციები იმაზე მეტყველებს, რომ ინვესტორის მონაწილეობა ინვესტირებულ საწარმოში არ შემოიფარგლება მარტო მისი პასიური მონაწილეობით და სხვა უფლებებთან ერთად, შეიძლება მიანიშნებდეს უფლებამოსილების არსებობაზე:
- ა) ინვესტირებული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის წევრები, რომლებსაც გააჩნიათ რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა, ინვესტორის ახლანდელი, ან ყოფილი დაქირავებული პირები არიან;
- ბ) ინვესტირებული საწარმოს ოპერაციები დამოკიდებულია ინვესტორზე, მაგალითად, როგორც შემდეგ სიტუაციებში:
- (i) ინვესტირებული საწარმო დამოკიდებულია ინვესტორზე, რომელიც აფინანსებს მისი ოპერაციების უდიდეს ნაწილს;
 - (ii) ინვესტორი უზრუნველყოფს ინვესტირებული საწარმოს ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის გარანტიას;
 - (iii) ინვესტირებული საწარმო დამოკიდებულია ინვესტორზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მომსახურების, ტექნოლოგიების, ნედლეულისა და მასალის მიწოდების საკითხებში;
 - (iv) ინვესტორი აკონტროლებს ისეთ აქტივებს, როგორცაა ლიცენზიები, ან სავაჭრო ნიშნები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინვესტირებული საწარმოს ოპერაციებისთვის;
 - (v) ინვესტირებული საწარმო დამოკიდებულია ინვესტორზე – მის ძირითად მმართველ ხელმძღვანელ პერსონალზე, მაგალითად, როდესაც ინვესტორის პერსონალს სპეციალიზებული ცოდნა გააჩნია ინვესტირებული საწარმოს ოპერაციებთან დაკავშირებული საკითხების.
- გ) ინვესტირებული საწარმოს საქმიანობების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ან ინვესტორის მონაწილეობით, ან მისი სახელით;
- დ) ინვესტორის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, არაპროპორციულად უფრო მეტია, ვიდრე მისი

ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები. მაგალითად, ზოგჯერ შეიძლება ინვესტორს გააჩნდეს უფლება ინვესტირებული საწარმოს შემოსავლების ნახევარზე მეტზე, მაგრამ ფლობდეს ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე ნაკლებს.

- ბ20. რაც უფრო დიდია ინვესტორის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება, მით უფრო მეტი სტიმული აქვს ინვესტორს, ისეთი უფლებები მოიპოვოს, რომლებიც საკმარისი იქნება უფლებამოსილების მოსაპოვებლად ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ამგვარად, ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული მაღალი რისკების არსებობა იმის ნიშანია, რომ შეიძლება ინვესტორს უფლებამოსილება ჰქონდეს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. თუმცა, ინვესტორის რისკზე დაქვემდებარება, თავისთავად, არ განსაზღვრავს იმას, აქვს თუ არა ინვესტორს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.
- ბ21. როდესაც ინვესტორი იხილავს ბ18 პუნქტში აღწერილ ფაქტორებსა და ბ19 და ბ20 პუნქტებში აღწერილ ინდიკატორებს, ინვესტორის სხვა უფლებებთან ერთად, მან უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ბ18 პუნქტში აღწერილ უფლებამოსილების არსებობის მტკიცებულებებს.

რეალური უფლებები

- ბ22. როდესაც ინვესტორი აფასებს თავისი უფლებამოსილების არსებობას, ის იხილავს მხოლოდ რეალურ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოსთან (რომელიც გააჩნია თვითონ ინვესტორს ან სხვებს). უფლება მიიჩნევა რეალურად, თუ მის მფლობელს გააჩნია ამ უფლების გამოყენების (განხორციელების) პრაქტიკული შესაძლებლობა.
- ბ23. იმის დადგენა, უფლებები რეალურია თუ არა, საჭიროებს განსჯას და გადაწყვეტილების მიღებას, კერძოდ, ყველა ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებას. ამგვარ განსახილველ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება შემდეგი ფაქტორებიც:
- ა) არსებობს თუ არა რაიმე ბარიერები (ეკონომიკური ან სხვა სახის), რომლებიც მფლობელს (ან მფლობელებს) ხელს უშლის ზემოაღნიშნული უფლებების განხორციელებაში. ამგვარ ბარიერებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:
 - (i) ფინანსური ჯარიმები და სტიმულები, რომლებიც ხელს შეუშლის მფლობელს თავისი უფლებების განხორციელებაში (ან შეაყოვნებს ამ უფლებების განხორციელებას);
 - (ii) უფლების განხორციელების, ან კონვერტაციის ფასი, რომელიც წარმოქმნის ფინანსურ ბარიერს დახელს შეუშლის მფლობელს თავისი უფლებების განხორციელებაში (ან შეაყოვნებს ამ უფლებების განხორციელებას);
 - (iii) პირობები, რომლებიც ნაკლებად სარწმუნოს ხდის ამ უფლებების გამოყენებას, მაგალითად, პირობები, რომლებიც მკაცრად ზღუდავს მათი გამოყენების ვადებს;
 - (iv) ინვესტირებული საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში, ან შესაფერის კანონებსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში ნათელი, გონივრული მექანიზმის არარსებობა, რომელიც უფლებების მფლობელს თავისი უფლებების გამოყენების საშუალებას მისცემდა;
 - (v) უფლებების მფლობელის უუნარობა, მოიპოვოს თავისი უფლებების გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაცია;
 - (vi) საოპერაციო ბარიერები, ან სტიმულები, რომლებიც ხელს შეუშლის მფლობელს თავისი უფლებების განხორციელებაში (ან შეაყოვნებს ამ უფლებების განხორციელებას) (მაგალითად, სხვა მმართველების (მენეჯერების) არარსებობა, რომლებსაც სურთ, ან შეუძლიათ სპეციალიზებული მომსახურების გაწევა, ან მომსახურების გაწევა და სხვა სახის მონაწილეობის მიღება მმართველობით პროცესებში, რომლის შესრულების პასუხისმგებლობა სხვა მენეჯერს აკისრია;
 - (vii) საკანონმდებლო ან მარეგულირებელი მოთხოვნები, რომლებიც მფლობელს ხელს უშლის თავისი უფლებების განხორციელებაში (მაგალითად, როდესაც უცხოელ ინვესტორს ეკრძალება თავისი უფლებების განხორციელება).

- ბ) როდესაც ზემოაღნიშნული უფლებების განხორციელებას ესაჭიროება რამდენიმე მხარის თანხმობა, ან, როდესაც ერთი და იმავე უფლებებით რამდენიმე მხარეა აღჭურვილი, არსებობს თუ არა ისეთი მექანიზმი, რომელიც ამ მხარეებს თავიანთი უფლებების რეალიზების პრაქტიკულ შესაძლებლობას აძლევს, თუ ისინი მოისურვებენ ამის გაკეთებას. ამგვარი მექანიზმის უქონლობა იმის ნიშანია, რომ ეს უფლებები შეიძლება არ იყოს რეალური. რაც უფრო მეტი მხარის თანხმობაა საჭირო ამგვარი უფლებების რეალიზებისთვის, მით უფრო ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეს უფლებები რეალურია. თუმცა, დირექტორთა საბჭო, რომლის წევრები გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტისგან დამოუკიდებლები არიან, რამდენიმე ინვესტორისთვის შეიძლება იყოს მექანიზმი იმისა, რომ იმოქმედონ კოლექტიურად თავიანთი უფლებების განსახორციელებლად. ამგვარად, გაცილებით დიდი ალბათობით არის შესაძლებელი, რომ რეალური იქნება განთავისუფლების უფლებები, რომლითაც აღჭურვილია დამოუკიდებელი დირექტორთა საბჭო, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ცალ-ცალკე ექნებოდა მრავალრიცხოვან ინვესტორს;
 - გ) ინვესტირებულ საწარმოში უფლებების მფლობელი მხარე ან მხარეები იღებენ თუ არა სარგებელს თავიანთი უფლებების განხორციელებიდან. მაგალითად, ხმის უფლებების მქონე ინვესტორმა (იხ. პუნქტები 847-850) უნდა განიხილოს ფინანსური ინსტრუმენტის განხორციელების, ან კონვერტაციის ფასი. პოტენციური ხმის უფლებების პირობები უფრო მოსალოდნელია, რომ რეალური იქნება, როდესაც ინსტრუმენტის გამოყენების ფასი საბაზროსთან შედარებით უფრო ხელსაყრელია, ან ინვესტორი ფინანსური ინსტრუმენტის განხორციელების, ან კონვერტაციიდან რაიმე სხვა მიზეზებით (მაგალითად, ინვესტორსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის სინერჯის რეალიზების გზით) სარგებელს მიიღებს.
- ბ24. იმისთვის, რომ უფლებები რეალური იყოს, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს უფლებების განხორციელება, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობის მართვასთან დაკავშირებით. როგორც წესი, უფლებები რეალური რომ იყოს, ამისათვის მისი გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მიმდინარე მომენტში. თუმცა, ზოგჯერ უფლებები მაშინაც შეიძლება იყოს რეალური, თუ მათი გამოყენება მიმდინარე მომენტში შესაძლებელი არ არის.

გამოყენების მაგალითები
<p>მე-3 მაგალითი</p> <p>ინვესტირებული საწარმო ატარებს აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებებს, სადაც ხდება რელევანტური საქმიანობების მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. მომდევნო გეგმური საერთო კრება ტარდება რვა თვის შემდეგ. თუმცა, აქციონერებს, რომლებსაც ინდივიდუალურად, ან ერთობლივად გააჩნიათ ხმის უფლებების სულ მცირე 5% მაინც, შეუძლიათ რიგგარეშე კრების მოწვევა რელევანტური საქმიანობების მართვის პოლიტიკაში ცვლილებების შესატანად, მაგრამ სხვა აქციონერებისთვის კრების მოწვევის თაობაზე ინფორმირების მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ ამგვარი კრების ჩატარება შეუძლებელია სულ მცირე 30 დღეში მაინც. რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ აქციონერთა რიგგარეშე, ან გეგმურ საერთო კრებებზე. ეს მოიცავს აქტივების გაყიდვის თაობაზე არსებითი გარიგებების დამტკიცებას, ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას, ან გასხვისებას. ზემოთ აღწერილი სიტუაცია ეხება ქვემოთ განხილულ 3ა-3დ მაგალითებს. თითოეული მაგალითი იზოლირებულად განიხილება.</p> <p>მაგალითი 3ა</p> <p>ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების უმეტესობა (საკონტროლო პაკეტი). ინვესტორის ხმის უფლებები რეალურია, რადგან მას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება რელევანტური საქმიანობების მართვის შესახებ, როდესაც საჭიროა ამ გადაწყვეტილებების მიღება. ის ფაქტი, რომ 30 დღე უნდა გავიდეს მანამ, სანამ ინვესტორი შეძლებს ხმის უფლებების გამოყენებას, ხელს არ უშლის ინვესტორს, ჰქონდეს მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს რელევანტური საქმიანობები იმ მომენტიდან, როდესაც ის შეიძენს აქტივების პაკეტს.</p>

გამოყენების მაგალითები

გაგრძელება

მაგალითი 3ბ

ინვესტორი ფორვარდული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა, რომელიც ეხება ინვესტირებული საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას. ფორვარდული ხელშეკრულების შესრულების ვადა დადგება 25 დღეში. არსებულ აქციონერებს არ შეუძლიათ რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული არსებული პოლიტიკის შეცვლა, რადგან რიგგარეშე კრების მოწვევა არ შეიძლება სულ მცირე 30 დღემდე, ამ დროისთვის კი ფორვარდული ხელშეკრულება უკვე შესრულებული უნდა იყოს. ამგვარად, ინვესტორს გააჩნია უფლებები, რომლებიც, პრაქტიკულად, იმ აქციონერის უფლებების ეკვივალენტურია, რომელიც აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ინვესტორია 3ა მაგალითში (ე.ი. ფორვარდული ხელშეკრულების მფლობელ ინვესტორს რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია ყოველთვის, როდესაც ამის გაკეთება არის საჭირო). ინვესტორის ფორვარდული ხელშეკრულება არის რეალური უფლება, რომელიც ინვესტორს მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს იქამდეც კი, სანამ ფორვარდული ხელშეკრულება შესრულდება.

მაგალითი 3გ

ინვესტორი არსებითი ოფციონის მფლობელია, რომელიც ეხება ინვესტირებული საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება 25 დღეში და მისი აღსრულების ფასი საბაზროზე ხელსაყრელია. დასკვნა ისეთივეა, როგორც 3ბ მაგალითში.

მაგალითი 3დ

ინვესტორი ფორვარდული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა, რომელიც ეხება ინვესტირებული საწარმოს აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას და მას რაიმე სხვა დაკავშირებული უფლებები არ გააჩნია ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ფორვარდული ხელშეკრულების შესრულების თარიღი დგება ექვს თვეში. წინა მაგალითისგან განსხვავებით, ინვესტორს არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ მიმდინარე მომენტში მართოს რელევანტური საქმიანობები. მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა აქვთ არსებულ აქციონერებს, რადგან მათ შეუძლიათ რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შეცვლა მანამ, სანამ ფორვარდული ხელშეკრულება შესრულდება.

- ბ25. სხვა მხარეთა რეალურ უფლებებს შეუძლია ხელი შეუშალოს ინვესტორს იმ ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელებაში, რომელთანაც დაკავშირებულია ეს უფლებები. ამგვარი რეალური უფლებები არ საჭიროებს, რომ მის მფლობელებს გააჩნდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ინიცირების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლებები არ არის მხოლოდ დამცავი უფლებები (იხ. პუნქტები ბ26-ბ28), სხვა მხარეთა რეალურ უფლებებს შეუძლია ინვესტორს ხელი შეუშალოს ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელებაში მაშინაც კი, თუ ეს უფლებები მფლობელებს მხოლოდ იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ მიმდინარე მომენტში დაამტკიცონ, ან დაბლოკონ რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

დამცავი უფლებები

- ბ26. როდესაც ინვესტორი აფასებს, უფლებები ანიჭებს თუ არა მას ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას, მან უნდა განსაზღვროს, მისი უფლებები და სხვა მხარეთა უფლებები არის თუ არა დამცავი უფლებები. დამცავი უფლებები დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოს საქმიანობების ძირეულ ცვლილებებთან, ან განკუთვნილია განსაკუთრებულ გარემოებებში გამოყენებისთვის. თუმცა, ყველა უფლება, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ გარემოებებში, ან პირობითია და დამოკიდებულია გარკვეულ მოვლენებზე, არ წარმოადგენს დამცავ უფლებას (იხ. პუნქტები ბ13-ბ53).

- ბ27. ვინაიდან დამცავი უფლებები განკუთვნილია მისი მფლობელის ინტერესების დასაცავად და მას არ ანიჭებს უფლებამოსილებას იმ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, რომელთანაც ეს უფლებებია დაკავშირებული, ინვესტორს, რომელსაც მხოლოდ დამცავი უფლებები გააჩნია, არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით და არც შეუძლია, ხელი შეუშალოს სხვა მხარის უფლებამოსილებას ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით (იხ. მე-14 პუნქტი).
- ბ28. ქვემოთ ჩამოთვლილია დამცავი უფლებების მაგალითები, თუმცა, მაგალითები ამომწურავი არ არის:
- ა) კრედიტორის უფლება, შეზღუდოს მსესხებლის ისეთი მოქმედებები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეცვლის მსესხებლის საკრედიტო რისკს კრედიტორის საზიანოდ;
 - ბ) ინვესტირებული საწარმოს არამაკონტროლებელი წილის მფლობელი მხარის უფლება, დაამტკიცოს იმაზე დიდი კაპიტალური დანახარჯები, რაც აუცილებელია ინვესტირებული საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესისთვის, ან დაამტკიცოს წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების გამოშვება;
 - გ) კრედიტორის უფლება, დააყადლოს მსესხებლის აქტივები, თუ მსესხებელი ვერ შეძლებს სესხის გადახდის დადგენილი პირობების შესრულებას.

ფრანშიზა

- ბ29. ფრანშიზის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ინვესტირებული საწარმო ფრანშიზის მიმღები მხარეა, ხშირად ფრანშიზის გამცემს აძლევს უფლებებს, რომლებიც განკუთვნილია ფრანშიზის სამარკო ნიშნის (ბრენდის) დასაცავად. ფრანშიზის ხელშეკრულება, როგორც წესი, ფრანშიზის გამცემს გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ უფლებებს ანიჭებს ფრანშიზის მიმღების საქმიანობასთან დაკავშირებით.
- ბ30. საზოგადოდ, ფრანშიზის გამცემის უფლებები არ ზღუდავს, ფრანშიზის მიმღების გარდა, სხვა მხარეთა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფრანშიზის მიმღების შემოსავლებზე. გარდა ამისა, ფრანშიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფრანშიზის გამცემის უფლებები არც ფრანშიზის მიმღებს აძლევს ყოველთვის იმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე მომენტში მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფრანშიზის მიმღების შემოსავლებზე.
- ბ31. აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მიმდინარე მომენტში ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის არსებობა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფრანშიზის მიმღების შემოსავლებზე და ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის არსებობა, რომლებიც მიმართულია ფრანშიზის სამარკო ნიშნის დაცვაზე. ფრანშიზის გამცემს არ გააჩნია უფლებამოსილება ფრანშიზის მიმღებთან მიმართებით, თუ სხვა მხარეებს გააჩნიათ ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მათ ანიჭებს ფრანშიზის მიმღების რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას მიმდინარე მომენტში.
- ბ32. როდესაც ფრანშიზის ხელშეკრულებას დებს, ფრანშიზის მიმღები ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას, თავისი საქმიანობა წარმართოს ფრანშიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მაგრამ საკუთარი სახსრების ხარჯზე.
- ბ33. კონტროლს ისეთ პრინციპულ გადაწყვეტილებებზე, როგორც ფრანშიზის მიმღების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი დაფინანსების სტრუქტურაა, შეიძლება ფრანშიზის გამცემი კი არა, სხვა მხარეები ახორციელებდნენ და ეს გადაწყვეტილებები შესაძლოა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს ფრანშიზის მიმღების შემოსავლებზე. რაც უფრო დაბალია ფრანშიზის გამცემის მიერ უზრუნველყოფილი ფინანსური მხარდაჭერის დონე და რაც უფრო დაბალია ფრანშიზის გამცემის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფრანშიზის მიმღებისგან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ფრანშიზის გამცემს მხოლოდ დამცავი უფლებები გააჩნია.

ხმის უფლებები

- ბ34. ხშირად ინვესტორს, ხმის უფლებების ან სხვა ანალოგიური უფლებების მეშვეობით, გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ მიმდინარე მომენტში მართოს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობები. ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს წინამდებარე განყოფილების მოთხოვნები

(პუნქტები 335-350), თუ ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობების მართვა ხმის უფლებების მეშვეობით ხორციელდება.

უფლებამოსილება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის შემთხვევაში

335. ინვესტორს, რომელიც ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელია, შემდეგ სიტუაციებში ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით გააჩნია უფლებამოსილება, თუ 336, ან 337 პუნქტში აღწერილი სიტუაციები არ არსებობს:

- ა) რელევანტური საქმიანობების მართვა ხორციელდება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელის ხმის მიცემით; ან
- ბ) მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა, რომელიც მართავს რელევანტურ საქმიანობებს, ინიშნება ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელის ხმის მიცემით.

ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტი, უფლებამოსილების გარეშე

336. იმისათვის, რომ ინვესტორს, რომელიც ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელია, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილება გააჩნდეს, ინვესტორის ხმის უფლებები რეალური უნდა იყოს 22-25 პუნქტების შესაბამისად და ინვესტორს აძლევდეს იმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე მომენტში მართოს რელევანტური საქმიანობები, რაც ხშირად ხორციელდება ინვესტირებული საწარმოს საოპერაციო და საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრით. თუ სხვა საწარმოს აქვს ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას რელევანტური საქმიანობების მართვის უფლებას ანიჭებს და ეს საწარმო არ წარმოადგენს ინვესტორის რწმუნებულს, მაშინ ინვესტორს არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

337. ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით არ გააჩნია უფლებამოსილება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელია, მაგრამ მისი ხმის უფლებები რეალური არ არის. მაგალითად, ინვესტორს, რომელიც ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის მფლობელია, არ ექნება უფლებამოსილება, თუ რელევანტური საქმიანობების მართვას ახორციელებს მთავრობა, სასამართლო, სასამართლოს მიერ დანიშნული ქონების მმართველი, ლიკვიდატორი, ან მარეგულირებელი ორგანო.

უფლებამოსილება, ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის გარეშე

338. ინვესტორი შეიძლება არ იყოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მაგრამ გააჩნდეს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. ინვესტორს, თუ ის არ არის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, უფლებამოსილება შეიძლება გააჩნდეს, მაგალითად:

- ა) ინვესტორსა და ხმის უფლებების სხვა მფლობელებს შორის დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე (იხ. 339 პუნქტი);
- ბ) სხვა სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად წარმოშობილი უფლებების საფუძველზე (იხ. 340 პუნქტი);
- გ) ინვესტორის ხმის უფლებების მეშვეობით (იხ. პუნქტები 341-345);
- დ) პოტენციური ხმის უფლებების მეშვეობით (იხ. პუნქტები 347-350); ან
- ე) ერთობლივად (ა)-(დ) პუნქტებში აღწერილი უფლებებით.

სახელშეკრულებო შეთანხმება ხმის უფლებების სხვა მფლობელებთან

339. ინვესტორსა და ხმის უფლებების სხვა მფლობელებს შორის დადებული შეთანხმება შეიძლება ინვესტორს იმდენი ხმის უფლების რეალიზების შესაძლებლობას აძლევდეს, რაც საკმარისია ინვესტორისთვის უფლებამოსილების მოსაპოვებლად, იმ შემთხვევაშიც, თუ ინვესტორს არ გააჩნია უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი ხმის უფლებები, სახელშეკრულებო შეთანხმების გარეშე. ამასთან, სახელშეკრულებო შეთანხმებამ შეიძლება ინვესტორი უზრუნველყოს იმის გარანტიით, რომ მას შეეძლოს ხმის უფლებების სხვა მფლობელების საკმარისი რაოდენობის ხმების მიცემის პროცესის მართვა, რაც ინვესტორს რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მისცემს.

სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან წარმოშობილი უფლებები

ბ40. გადაწყვეტილებების მიღების სხვა უფლებები, ხმის უფლებებთან ერთად, შეიძლება ინვესტორს აძლევდეს იმის შესაძლებლობას, რომ მიმდინარე მომენტში მართოს რელევანტური საქმიანობები. მაგალითად, სახელშეკრულებო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებები, ხმის უფლებებთან ერთად, შეიძლება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ ინვესტორს აძლევდეს მიმდინარე მომენტში ინვესტირებული საწარმოს საწარმოო პროცესების, ან სხვა საოპერაციო, ან საფინანსო საქმიანობის მართვის შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. თუმცა, როდესაც არ არსებობს სხვა უფლებები, ინვესტირებული საწარმოს ეკონომიკური დამოკიდებულება ინვესტორზე (როგორცაა, მაგალითად მომწოდებლის ურთიერთობა მთავარ მომხმარებელთან), ინვესტორს არ ანიჭებს უფლებამოსილებას ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

ინვესტორის ხმის უფლებები

ბ41. ინვესტორს, რომელიც არ არის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების საკონტროლო პაკეტის მფლობელი, მაშინ გააჩნია ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი უფლებები, როდესაც ინვესტორს გააჩნია რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად მართვის პრაქტიკული შესაძლებლობა.

ბ42. როდესაც ინვესტორი აფასებს, საკმარისია თუ არა მისი ხმის უფლებები იმისთვის, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილებას ანიჭებდეს, ინვესტორი განიხილავს ყველა ფაქტსა და გარემოებას, მათ შორის:

ა) ინვესტორის კუთვნილი ხმის უფლებების პაკეტის სიდიდეს ხმის უფლებების სხვა მფლობელების ხმის უფლებების პაკეტების სიდიდესთან და ხმის უფლებების განაწილების ხარისხთან მიმართებით და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ფაქტორებზე:

(i) რაც უფრო მეტი ხმის უფლებების მფლობელია ინვესტორი, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ინვესტორს გააჩნია ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას ანიჭებს;

(ii) რაც უფრო მეტი ხმის უფლებების მფლობელია ინვესტორი, ხმის უფლებების სხვა მფლობელებთან შედარებით, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ინვესტორს გააჩნია ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს;

(iii) რაც უფრო მეტია იმ მხარეთა რაოდენობა, რომლებმაც ერთად უნდა იმოქმედონ ხმის მიცემის პროცესში ინვესტორის დასამარცხებლად, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი, რომ ინვესტორს გააჩნია ძალაში შესული უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას ანიჭებს;

ბ) ინვესტორის, ხმის უფლებების სხვა მფლობელების, ან სხვა მხარეთა კუთვნილ პოტენციურ ხმის უფლებებს (იხ. პუნქტები ბ47-ბ50);

გ) უფლებებს, რომლებიც წარმოშობილია სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან (იხ. ბ40 პუნქტი); და

დ) ნებისმიერ დამატებით ფაქტსა და გარემოებას, რომელიც იმის მიმანიშნებელია, რომ ინვესტორს გააჩნია, ან არ გააჩნია მიმდინარე მომენტში იმის შესაძლებლობა, რომ მართოს რელევანტური საქმიანობები იმ დროს, როდესაც აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ხმების განაწილება აქციონერთა წინა კრებებზე.

ბ43. როდესაც რელევანტური საქმიანობის მართვის შესახებ გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება და ინვესტორი მნიშვნელოვნად იმაზე მეტი ხმის უფლებების მფლობელია, ვიდრე ხმის უფლებების ნებისმიერი სხვა მფლობელი, ან ხმის უფლებების მფლობელთა ორგანიზებული ჯგუფი და ხმის უფლებების სხვა პაკეტები საკმაოდ ფართოდ არის გაბნეული სხვადასხვა ინვესტორზე, მაშინ მართკ ბ42(ა)-(გ) პუნქტებში აღწერილი ფაქტორების განხილვის შემდეგაც შეიძლება აშკარა გახდეს, რომ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

გამოყენების მაგალითები

მე-4 მაგალითი

ინვესტორი იძენს ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 48%-ს. დანარჩენი ხმის უფლებები ეკუთვნის ათასობით აქციონერს, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთ მათგანს არ გააჩნია ხმის უფლებების 1%-ზე მეტი. არც ერთ აქციონერს არა აქვს დადებული შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. როდესაც ინვესტორი აფასებდა, შესაძენი ხმის უფლებების მქონე აქციების ხვედრით წილს აქციების სხვა პაკეტების სიდიდის საფუძველზე, ინვესტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 48% წილის შეძენა საკმარისი იქნებოდა კონტროლის მოსაპოვებლად. ასეთ შემთხვევაში, მისი პაკეტის აბსოლუტური ზომისა და აქციების სხვა პაკეტების ფარდობითი ზომის საფუძველზე, ინვესტორი დაასკვნის, რომ მას საკმარისი დომინანტური წილი გააჩნია, რათა დააკმაყოფილოს უფლებამოსილების კრიტერიუმი ისე, რომ აუცილებელი არ იქნება უფლებამოსილების არსებობის სხვა მტკიცებულებების განხილვა.

მე-5 მაგალითი

„ა“ ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 40%, ხოლო სხვა თორმეტ ინვესტორს, თითოეულს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 5%. აქციონერთან დადებული შეთანხმება „ა“ ინვესტორს იმ ხელმძღვანელი პერსონალის დანიშვნისა და განთავისუფლების უფლებას აძლევს, რომელსაც აკისრია რელევანტური საქმიანობების მართვის პასუხისმგებლობა და, გარდა ამისა, მათი ანაზღაურების განსაზღვრის შესაძლებლობასაც აძლევს. ამ შეთანხმების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია აქციონერთა ხმათა უმრავლესობა, კერძოდ, ხმების ორი მესამედი. ამ შემთხვევაში, „ა“ ინვესტორი დაასკვნის, რომ მარტო ინვესტორის ხმის უფლებების პაკეტის აბსოლუტური სიდიდიდან და აქციების სხვა პაკეტების შეფარდებითი სიდიდიდან გამომდინარე არ შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი უფლებები. თუმცა, „ა“ ინვესტორი გადაწყვეტს, რომ მისი სახელშეკრულებო უფლება, დანიშნოს და განთავისუფლოს ხელმძღვანელი პერსონალი და ასევე განსაზღვროს მათი ანაზღაურება, საკმარისია დასკვნის გამოსატანად, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. როდესაც ინვესტორი ადგენს, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, არ გაითვალისწინება ის ფაქტი, რომ „ა“ ინვესტორმა შეიძლება არ გამოიყენოს ეს უფლება, ან ალბათობა იმისა, რომ „ა“ ინვესტორი გამოიყენებს თავის უფლებას, შეარჩიოს, დანიშნოს ან გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პერსონალი.

ბ44. სხვა სიტუაციებში, ბ42(ა)-(გ) პუნქტებში აღწერილი ფაქტორების განხილვის შემდეგ შეიძლება აშკარა გახდეს, რომ ინვესტორს არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.

გამოყენების მაგალითი

მე-6 მაგალითი

„ა“ ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 45%, ხოლო ორ სხვა ინვესტორს, თითოეულს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 26%. დანარჩენი ხმის უფლების მქონე აქციები ეკუთვნის სამ სხვა აქციონერს, თითოეულს 1%. არ არსებობს სხვა შეთანხმება, რომელიც გავლენას იქონიებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ამ შემთხვევაში, „ა“ ინვესტორის კუთვნილი აქციების პაკეტის სიდიდისა და აქციების სხვა პაკეტებთან მიმართებით მისი ხვედრითი წილის ანალიზი საკმარისია იმის დასადგენად, რომ „ა“ ინვესტორს არ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით. მარტო ორმა სხვა ინვესტორმაც რომ ითანამშრომლოს, ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ „ა“ ინვესტორს ხელი შეუშალოს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობების მართვაში.

ბ45. თუმცა, მარტო ბ42(ა)-(გ) პუნქტებში აღწერილი ფაქტორების ანალიზი შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი დასკვნის გამოსატანად. თუ ინვესტორს, რომელმაც გააანალიზა ზემოაღნიშნული ფაქტორები, ეჭვი ეპარება, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება, მან უნდა გააანალიზოს დამატებითი ფაქტები და გარემოებები, მაგალითად, სხვა აქციონერები ბუნებით პასიურები არიან თუ არა, რისი მტკიცებულებებიც გამოჩნდება აქციონერთა წინა კრებებზე ხმების განაწილების ხასიათიდან. ამაში იგულისხმება ბ18 პუნქტში აღწერილი ფაქტორებისა და ბ19 და ბ20 პუნქტებში აღწერილი ინდიკატორების ანალიზი. რაც უფრო ცოტა ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელია ინვესტორი და რაც უფრო ცოტაა მხარეები, რომლებსაც ერთობლივად მოქმედება ესაჭიროებათ ხმის მიცემის პროცესში ინვესტორის დასამარცხებლად, მით უფრო მეტად უნდა დაეყრდნოს ინვესტორი ანალიზის დროს სხვა ფაქტებსა და გარემოებებს, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი უფლებები. როდესაც ინვესტორი იხილავს ბ18-ბ20 პუნქტებში აღწერილ ფაქტებსა და გარემოებებს, ინვესტორის უფლებებთან ერთად, მან უფრო მეტი წონა უნდა მიანიჭოს ბ18 პუნქტში აღწერილ უფლებამოსილების მტკიცებულებებს, ვიდრე უფლებამოსილების სხვა მტკიცებულებებს, რომლებიც აღწერილია ბ19 და ბ20 პუნქტებში.

გამოყენების მაგალითები
<p>მე-7 მაგალითი</p> <p>ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 45%, ხოლო სხვა თერთმეტ აქციონერს, თითოეულს – ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 5%. არც ერთ აქციონერს არა აქვს სახელმწიფოებო შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამ შემთხვევაში, მარტო ინვესტორის პაკეტის აბსოლუტური სიდიდისა და სხვა პაკეტების შეფარდებითი სიდიდის ანალიზი არ წარმოადგენს გადაწყვეტ ფაქტორს იმის დასადგენად, გააჩნია თუ არა ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოსაპოვებლად საკმარისი უფლებები. აუცილებელია დამატებითი ფაქტებისა და გარემოებების განხილვა, რომლებმაც შეიძლება უზრუნველყოს მტკიცებულებები იმისა, ინვესტორს გააჩნია თუ არა უფლებამოსილება.</p> <p>მე-8 მაგალითი</p> <p>ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 35%. სამ სხვა აქციონერს, თითოეულს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციების 5%. დანარჩენი ხმისუფლებიანი აქციები განაწილებულია სხვა მრავალრიცხოვან აქციონერზე, რომელთაგან არც ერთს არ ეკუთვნის ხმის უფლების მქონე აქციების 1%-ზე მეტი. არც ერთ აქციონერს არა აქვს დადებული შეთანხმება არც ერთ სხვა აქციონერთან კონსულტაციების, ან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას ესაჭიროება ხმათა უმრავლესობით დამტკიცება აქციონერთა შესაბამის კრებებზე.</p> <p>აქციონერთა ბოლო პერიოდის შესაბამის კრებებზე საკითხი გავიდა ინვესტირებული საწარმოს აქციონერთა ხმების 75%-ით. ამ შემთხვევაში, სხვა აქციონერების აქტიური მონაწილეობა ბოლო პერიოდების აქციონერთა საერთო კრებებზე იმის მიმანიშნებელია, რომ ინვესტორს არ ექნებოდა რელევანტური საქმიანობების ცალმხრივად მართვის პრაქტიკული შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, ინვესტორმა განახორციელა თუ არა რელევანტური საქმიანობების მართვა, იმის გამო, რომ საკმარისი რაოდენობის სხვა აქციონერებმაც ისევე მისცეს ხმა, როგორც ინვესტორმა.</p>

ბ46. თუ ბ42(ა)-(დ) პუნქტებში აღწერილი ფაქტორების განხილვის შემდეგ ამკარად არ ჩანს, რომ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, ეს ნიშნავს, რომ ინვესტორი არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს.

პოტენციური ხმის უფლებები

- ბ47. კონტროლის შეფასების დროს, ინვესტორი იხილავს თავის პოტენციურ ხმის უფლებებს, ასევე სხვა მხარეთა პოტენციურ ხმის უფლებებს, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება. პოტენციური ხმის უფლებები აღნიშნავს ინვესტირებული საწარმოს ხმის უფლებების მოპოვების უფლებას, მაგალითად, უფლებები, რომლებიც წარმოიშობა კონვერტირებადი ინსტრუმენტებიდან, ან ოფციონებიდან, მათ შორის ფორვარდული ხელშეკრულებებიდან. ამგვარი პოტენციური ხმის უფლებები მხოლოდ მაშინ მიიღება მხედველობაში, თუ ისინი რეალურია (იხ. პუნქტები ბ22-ბ25).
- ბ48. როდესაც ინვესტორი პოტენციურ ხმის უფლებებს ანალიზებს, მან უნდა განიხილოს ინსტრუმენტის მიზანი და სტრუქტურა, ასევე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის ნებისმიერი სხვა ფორმის მონაწილეობის მიზანი და სტრუქტურა. ამგვარი ანალიზი მოიცავს ინსტრუმენტის სხვადასხვა პირობების შეფასებას, ასევე ინვესტორის აშკარა მოლოდინებს, მოტივებსა და მიზეზებს, რის გამოც ასეთ პირობებს ეთანხმება.
- ბ49. თუ ინვესტორს იმავდროულად გააჩნია ხმის უფლებები ან გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები ინვესტირებულ საწარმოში, ინვესტორი აფასებს, ეს უფლებები, პოტენციურ ხმის უფლებებთან ერთად, ანიჭებს თუ არა მას უფლებამოსილებას ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.
- ბ50. რეალურმა პოტენციურმა ხმის უფლებებმა, თავისთავად, ან სხვა უფლებებთან ერთობლიობაში, შეიძლება ინვესტორს მისცეს რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა მიმდინარე მომენტში. მაგალითად, ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როდესაც ინვესტორი არის ინვესტირებული საწარმოს ხმისუფლებიანი აქციების 45%-ის მფლობელი და ბ23 პუნქტის შესაბამისად, გააჩნია ოფციონებიდან წარმოქმნილი რეალური უფლებები, რომლებიც ეხება ხმისუფლებიანი აქციების დამატებითი 20%-ის შეძენას.

გამოყენების მაგალითები
<p>მე-9 მაგალითი</p> <p>„ა“ ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმისუფლებიანი აქციების 70%. „ბ“ ინვესტორს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმისუფლებიანი აქციების 30% და ასევე ოფციონი, რომელიც ეხება „ა“ ინვესტორის ხმისუფლებიანი აქციების ნახევრის შეძენას. ოფციონის განხორციელება შესაძლებელია მომდევნო ორ წელიწადში, ფიქსირებულ ფასად, რომელიც საბაზრო ფასთან შედარებით არახელსაყრელს ხდის ოფციონის გამოყენებას (და მოსალოდნელია, რომ ეს ოფციონი არ აღსრულდება მითითებულ ორწლიან პერიოდში). „ა“ ინვესტორი იყენებს თავის ხმის უფლებებს და აქტიურად მართავს ინვესტირებული საწარმოს რელევანტურ საქმიანობებს. ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ „ა“ ინვესტორი დააკმაყოფილებს უფლებამოსილების კრიტერიუმს, რადგან, როგორც ჩანს, მას გააჩნია მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობა.</p> <p>მართალია, „ბ“ ინვესტორს გააჩნია დამატებითი ხმისუფლებიანი აქციების შეძენის ოფციონები, რომლის განხორციელება მიმდინარე მომენტში შეუძლია (რაც, გამოყენების შემთხვევაში, მას უზრუნველყოფს ინვესტირებული საწარმოს საკონტროლო პაკეტი), მაგრამ ამ ოფციონებთან დაკავშირებული პირობები ისეთია, რომ ოფციონები რეალურად არ მიიჩნევა.</p> <p style="text-align: right;"><i>გაგრძელება</i></p>

მე-10 მაგალითი

„ა“ ინვესტორს და ორ სხვა ინვესტორს, თითოეულს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს ხმისუფლებიანი აქციების ერთი მესამედი. ინვესტირებული საწარმოს სამეწარმეო საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული „ა“ ინვესტორთან. „ა“ ინვესტორს, წილობრივი ინსტრუმენტების გარდა, ეკუთვნის სავალო ინსტრუმენტებიც, რომელთა კონვერტაცია შესაძლებელია ინვესტირებული საწარმოს ჩვეულებრივ აქციებში, ნებისმიერ მომენტში ფიქსირებულ ფასად საბაზრო ფასთან შედარებით არახელსაყრელი ფასით (მაგრამ ზარალი უმნიშვნელოა). თუ სავალო ინსტრუმენტების კონვერტაცია მოხდება, „ა“ ინვესტორს ექნება ინვესტირებული საწარმოს ხმისუფლებიანი აქციების 60%. „ა“ ინვესტორი სარგებელს მიიღებდა სინერჯის რეალიზების გზით, თუ სავალო ინსტრუმენტები გადაიცვლება ჩვეულებრივ აქციებში. მაშასადამე, „ა“ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, რადგან მას გააჩნია ინვესტირებული საწარმოს ხმისუფლებიანი აქციები და ასევე რეალური პოტენციური ხმის უფლებები, რაც მას მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს.

უფლებამოსილების არსებობა ისეთ სიტუაციაში, როდესაც ხმის უფლებები, ან სხვა ანალოგიური უფლებები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე

- ბ51. როდესაც ინვესტორი აფასებს ინვესტირებული საწარმოს მიზანსა და სტრუქტურას (იხ. პუნქტები ბ5-ბ8), მან უნდა განიხილოს თავისი მონაწილეობა და გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული იყო ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის დაწყებისას მისი სტრუქტურის განსაზღვრისას და შეაფასოს, გარიგების პირობები და მისი მონაწილეობის თავისებურებები ანიჭებს თუ არა მას (ინვესტორს) ისეთ უფლებებს, რაც საკმარისია უფლებამოსილების მოსაპოვებლად. მართო ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურის ფორმირებაში თანამონაწილეობა, თავისთავად, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ინვესტორს ანიჭებდეს კონტროლის უფლებას. თუმცა, ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურის ფორმირებაში თანამონაწილეობა შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ინვესტორს ჰქონდა ისეთი უფლებების მოპოვების შესაძლებლობა, რაც საკმარისი იქნებოდა ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოსაპოვებლად.
- ბ52. გარდა ამისა, ინვესტორმა უნდა გააანალიზოს სახელშეკრულებო შეთანხმებები, როგორცაა, მაგალითად შესყიდვის (ქოლ) უფლებები, გაყიდვის (ფუთ) უფლებები და ლიკვიდაციის უფლებები, რომლებიც განისაზღვრა ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის დაწყებისას. როდესაც ამგვარი სახელშეკრულებო შეთანხმებები ითვალისწინებს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინვესტირებულ საწარმოსთან, მაშინ ამგვარი საქმიანობები, თავისი არსით, ინვესტირებული საწარმოს მთლიანი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება განხორციელდეს ინვესტირებული საწარმოს იურიდიულ საზღვრებს გარეთ. ამგვარად, სახელშეკრულებო შეთანხმებაში აშკარად, თუ არააშკარად გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინვესტირებულ საწარმოსთან, ინვესტორმა უნდა მიიჩნიოს რელევანტურ საქმიანობებად, როდესაც ადგენს უფლებამოსილების არსებობას ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით.
- ბ53. ზოგიერთ ინვესტირებულ საწარმოში, რელევანტური საქმიანობები მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც კონკრეტული გარემოებები წარმოიშობა ან კონკრეტული მოვლენები მოხდება. ინვესტირებული საწარმო შეიძლება იმგვარად იყოს ორგანიზებული, რომ მისი საქმიანობებისა და შემოსავლების მართვა წინასწარ იყოს განსაზღვრული, თუ გარკვეული გარემოებები არ წარმოიშობა, ან გარკვეული მოვლენები არ მოხდება. ასეთ შემთხვევაში, ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე შეიძლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს მხოლოდ ინვესტირებული საწარმოს ისეთ საქმიანობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ამგვარ გარემოებებში, ან ამგვარი მოვლენების მოხდენისას; მაშასადამე, ეს იქნება რელევანტური საქმიანობები. ინვესტორს, რომელსაც შეუძლია ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება, გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, იმის მიუხედავად, ეს გარემოებები ან მოვლენები წარმოიშობა თუ არა. ის ფაქტი, რომ გადაწყვე-

ტილებების მიღების უფლება პირობითია და დამოკიდებულია გარკვეული გარემოებების წარმოშობაზე, ან მოვლენების მოხდენაზე, ამ უფლებას, თავისთავად, არ გადააქცევს დამცავ უფლებად.

გამოყენების მაგალითები
<p>მე-11 მაგალითი</p> <p>სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, ინვესტირებული საწარმოს ერთადერთ სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს დებიტორული დავალიანებების ყიდვა და ინვესტორების მომსახურება ყოველდღიურად. ყოველდღიური მომსახურება მოიცავს დავალიანების ძირითადი თანხისა და გადასახდელი პროცენტების თანხების ამოღებასა და გადაცემას მათი გადახდის ვადის დადგომისას. დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ინვესტირებული საწარმო დებიტორულ დავალიანებას ავტომატურად მიჰყიდის ინვესტორს, როგორც გათვალისწინებულია ინვესტორსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის დადებულ ცალკე „ფუთ“ ხელშეკრულებაში. აქ ერთადერთი რელევანტური საქმიანობაა დებიტორული დავალიანებების მართვა, მასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვინაიდან ეს არის ერთადერთი საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. დებიტორული დავალიანებების მართვა მანამ, სანამ არ დაფიქსირდება დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, არ წარმოადგენს რელევანტურ საქმიანობას, რადგან არ საჭიროებს არსებითი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე. საქმიანობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომამდე, წინასწარ არის განსაზღვრული და გულისხმობს მხოლოდ ფულადი სახსრების ამოღებას მათი გადახდის ვადის დადგომისას და მათ გადაცემას ინვესტორებისთვის. მაშასადამე, როდესაც ინვესტორი აფასებს მთლიანობაში ინვესტირებული საწარმოს იმ საქმიანობებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე, მან უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ თავისი (ინვესტორის) უფლება, მართოს აქტივები მათი გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომისას. ამ მაგალითში, ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურა უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ ინვესტორს ექნება გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება ისეთ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავალზე ზუსტად იმ მომენტში, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღების ზემოაღნიშნული უფლებამოსილება. „ფუთ“ ხელშეკრულების პირობები მთლიანი გარიგებისა და ინვესტირებული საწარმოს დაფუძნების განუყოფელი ნაწილია. ამგვარად, „ფუთ“ ხელშეკრულების პირობებისა და ინვესტირებული საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ინვესტორი დებიტორულ დავალიანებაზე საკუთრების უფლებას იღებს მხოლოდ დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომისას და ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებას მართავს ინვესტირებული საწარმოს იურიდიულ საზღვრებს გარეთ.</p>
<p>მე-12 მაგალითი</p> <p>ინვესტირებული საწარმოს ერთადერთი აქტივებია დებიტორული დავალიანებები. ინვესტირებული საწარმოს მიზნისა და სტრუქტურის ანალიზით დადგინდა, რომ ერთადერთი რელევანტური საქმიანობაა დებიტორული დავალიანებების მართვა, დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომისას. მხარეს, რომელსაც შეუძლია ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების მართვა, გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, იმის მიუხედავად, გახდება თუ არა გადახდისუუნარო რომელიმე მსესხებელი.</p>

ბ54. შეიძლება ინვესტორს ჰქონდეს აშკარად გამოხატული, ან ნაგულისხმევი ვალდებულება იმისა, რომ უზრუნველყოს ინვესტირებული საწარმოს უწყვეტი საქმიანობა, როგორც ეს დაგეგმილი იყო მისი დაფუძნებისას. ამგვარმა ვალდებულებამ შეიძლება გაზარდოს ინვესტორის დამოკიდებულება რისკზე, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან და, შესაბამისად, აამაღლოს ინვესტორის მოტივაცია, მოიპოვოს ისეთი უფლებები, რომლებიც საკმარისი იქნება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოსაპოვებლად. ამგვარად, ინვესტორის ვალდებულება, უზრუნველყოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობა, როგორც ეს დაგეგმილი იყო მისი დაფუძნებისას, შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება, თუმცა, თავისთავად, ასეთი სიტუაცია არ ნიშნავს იმას, რომ ინვესტორს გააჩნია უფლებამოსილება და არც იმას, რომ ეს ხელს შეუშლის სხვა მხარეთა უფლებამოსილების არსებობას.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება

ბ55. როდესაც ინვესტორი აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, მან უნდა დაადგინოს, ექვემდებარება თუ არა ის რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია თუ არა ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება.

ბ56. ცვალებადია ისეთი შემოსავალი, რომელიც ფიქსირებული არ არის და შეიძლება იცვლებოდეს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით. ცვალებადი შემოსავალი შეიძლება იყოს მარტო დადებითი, მარტო უარყოფითი, ან დადებითი და უარყოფითი (იხ. მე-15 პუნქტი). ინვესტირებული საწარმოდან მიღებული შემოსავალი არის თუ არა ცვალებადი ხასიათის და რამდენად ცვალებადია ეს შემოსავალი, ინვესტორმა უნდა შეაფასოს შეთანხმების შინაარსის მიხედვით, ამ შემოსავლების იურიდიული ფორმის მიუხედავად. მაგალითად, ინვესტორი შეიძლება იყოს ფიქსირებულპროცენტთან ობლიგაციის მფლობელი. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის ფიქსირებულპროცენტთან ობლიგაციაზე გადასახდელი ფიქსირებული პროცენტები ცვალებად შემოსავლებად მიიჩნევა, რადგან ექვემდებარება გადაუხდელობის რისკს, ხოლო ინვესტორი დამოკიდებული ხდება ობლიგაციის ემიტენტის საკრედიტო რისკზე. ცვალებადობის ხარისხი (ე.ი. რამდენად ცვალებადია ზემოაღნიშნული შემოსავლები) დამოკიდებულია ობლიგაციის საკრედიტო რისკზე. ანალოგიურად, ფიქსირებული საზღაური, რომელსაც ინვესტორს უხდებიან ინვესტირებული საწარმოს აქტივების მართვაში მიღწეული გარკვეული შედეგებისთვის, ცვალებადი შემოსავალია, რადგან ინვესტორს დაქვემდებარებულს ხდის ინვესტირებული საწარმოს მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკზე. ცვალებადობის ხარისხი დამოკიდებულია ინვესტირებული საწარმოს უნარზე, მიიღოს საკმარისი შემოსავალი ზემოაღნიშნული საზღაურის გადასახდელად.

ბ57. ინვესტორის შემოსავლების მაგალითებია:

- ა) დივიდენდები, ინვესტირებული საწარმოს მხრიდან მიღებული სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის განაწილებები (მაგალითად, ინვესტირებული საწარმოს მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების პროცენტები) და ინვესტორის მიერ ინვესტირებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები;
- ბ) საზღაური ინვესტირებული საწარმოს აქტივების, ან ვალდებულებების მომსახურებისთვის, საზღაური ინვესტირებული საწარმოსთვის კრედიტით უზრუნველყოფის, ან ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად გაწეული დახმარებისთვის და ამგვარ დახმარებასთან დაკავშირებული ზარალის რისკი, ნარჩენი წილი ინვესტირებული საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელსაც ინვესტორი იღებს ინვესტირებული საწარმოს ლიკვიდაციისას, გადასახადის შემცირებით მიღებული სარგებელი და მომავალი ლიკვიდობით სარგებლობის უფლება, რომელიც ინვესტორს გააჩნია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობის გამო;
- გ) შემოსავლები, რომლებიც ხელმისაწვდომი არ არის წილების სხვა მფლობელთათვის. მაგალითად, ინვესტორი შეიძლება თავის აქტივებს იყენებდეს ინვესტირებული საწარმოს აქტივებთან ერთად; ასე, მაგალითად, საოპერაციო ფუნქციების გაერთიანება მასშტაბის ეკონომიის, ან დანახარჯების ეკონომიის მისაღწევად, დეფიციტური საქონლის მომწოდ-

ბლებს მოსაძიებლად, დაპატენტებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობის მისაღებად, ან შეზღუდვების დასაწესებლად გარკვეულ ოპერაციებზე ან აქტივებზე, ინვესტორის სხვა აქტივების ღირებულების გაზრდის მიზნით.

კავშირი უფლებამოსილებასა და შემოსავლებს შორის

უფლებამოსილების დელეგირება

- ბ58. როდესაც გადაწყვეტილებების მიღების უფლების მქონე ინვესტორი (გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი) აფასებს, გააჩნია თუ არა მას კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, მან უნდა დაადგინოს, ის მარწმუნებელია, თუ რწმუნებული. ასევე, ინვესტორმა უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა გადაწყვეტილებების მიღების უფლების მქონე სხვა საწარმო, რომელიც მოქმედებს, როგორც მისი რწმუნებული. რწმუნებული არის მხარე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაქირავებულია იმისთვის, რომ იმოქმედოს სხვა მხარის, ან მხარეების (მარწმუნებელი/მარწმუნებლები) სახელით და მათი ინტერესების სასარგებლოდ და, მაშასადამე, ის არ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც იყენებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას (იხ. მე-17 და მე-18 პუნქტები). ამგვარად, ზოგჯერ, მარწმუნებელი მხარის უფლებამოსილება შეიძლება რწმუნებულის ხელში იყოს, რომელსაც შეუძლია მისი გამოყენება, მაგრამ მარწმუნებლის სახელით. გადაწყვეტილების მიმღები არ წარმოადგენს რწმუნებულს თავისთავად, მარტო იმის გამო, რომ სხვა მხარეებს შეუძლიათ სარგებლის მიღება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან.
- ბ59. ინვესტორს შეუძლია ზოგიერთი კონკრეტული საკითხის, ან ყველანაირი რელევანტური საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების დელეგირება რწმუნებულზე. როდესაც ინვესტორი აფასებს, გააჩნია თუ არა მას კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, მან თავის რწმუნებულზე დელეგირებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებები უნდა მიიჩნიოს უშუალოდ თავის (ინვესტორის) უფლებებად. იმ შემთხვევაში, როდესაც მარწმუნებელი მხარე რამდენიმეა, თითოეულმა მარწმუნებელმა მხარემ უნდა შეაფასოს, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, ბ5-ბ54 პუნქტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების გაანალიზებით. ბ60-ბ72 პუნქტებში მოცემულია მითითებები იმის შესახებ, როგორ უნდა დადგინდეს, გადაწყვეტილების მიმღები რწმუნებულია, თუ მარწმუნებელი.
- ბ60. გადაწყვეტილების მიმღებმა, იმის დასადგენად, რწმუნებულია თუ არა ის, უნდა გაანალიზოს თავისი ურთიერთობის ყველანაირი ასპექტი ინვესტირებულ საწარმოსთან, რომელსაც მართავს და ინვესტირებულ საწარმოში მონაწილე სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაქტორი:
- ა) ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების თავისი უფლებამოსილების საზღვრები; (პუნქტები ბ62 და ბ63)
 - ბ) სხვა მხარეთა უფლებები; (პუნქტები ბ64-ბ67)
 - გ) ანაზღაურება, რომლის მიღების უფლებაც გააჩნია ანაზღაურების შეთანხმებ(ებ)ის მიხედვით; (პუნქტები ბ68-ბ70)
 - დ) გადაწყვეტილების მიმღების რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ინვესტირებულ საწარმოში სხვა ფორმით მონაწილეობის გამო. (პუნქტები ბ71 და ბ72)
- კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, ცალკეულ ზემოაღნიშნულ ფაქტორს ანალიზის დროს განსხვავებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.
- ბ61. იმის დასადგენად, გადაწყვეტილების მიმღები არის თუ არა რწმუნებული, აუცილებელია ბ60 პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ფაქტორის შეფასება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც რომელიმე ერთ მხარეს გააჩნია რეალური უფლებები, გადაწყვეტილების მიმღები გაათავისუფლოს თანამდებობიდან (ანუ, გააჩნია ჩამორთმევის უფლებები) და შეუძლია მისი განთავისუფლება მიზეზების აუხსნელად. (იხ. ბ65 პუნქტი)

გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის უფლებამოსილების საზღვრები

- ბ62. გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საზღვრები უნდა შეფასდეს შემდეგი ფაქტორების განხილვით:
- ა) საქმიანობები, რომლებიც ნებადართულია გადაწყვეტილების მიღების შეთანხმებ(ებ)ის მიხედვით და დადგენილია კანონმდებლობით; და
 - ბ) მოქმედების თავისუფლება, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს გააჩნია ამ საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.
- ბ63. გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა უნდა განიხილოს ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა, რისკები, რომელთა საკუთარ თავზე აღება დაგეგმილი იყო ინვესტირებული საწარმოს ფორმირებისას, რისკები, რომლებიც დაგეგმილი იყო მონაწილე სხვა მხარეებზე გადასაცემად, ასევე გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მონაწილეობის დონე ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურაში. მაგალითად, თუ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი, მნიშვნელოვანწილად, მონაწილეობს ინვესტირებული საწარმოს სტრუქტურის განსაზღვრაში (მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის უფლებამოსილების საზღვრების განსაზღვრაში), ამგვარი მონაწილეობა შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს ჰქონდა შესაძლებლობა და სტიმული, მოეპოვებინა ისეთი უფლებები, რაც გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას მისცემდა.

სხვა მხარეთა უფლებები

- ბ64. სხვა მხარეთა რეალური უფლებები შეიძლება გავლენას ახდენდეს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის შესაძლებლობაზე, მართოს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობები. რეალური ჩამორთმევის უფლებები ან სხვა უფლებები შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არის რწმუნებული.
- ბ65. თუ ერთ მხარეს გააჩნია რეალური ჩამორთმევის უფლებები და მას შეუძლია გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის თანამდებობიდან განთავისუფლება მიზეზების აუხსნელად, მართო ესეც საკმარისია დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არის რწმუნებული. თუ ამგვარი უფლებები რამდენიმე მხარეს გააჩნია (და ამ მხარეებიდან არც ერთს არ შეუძლია გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის თანამდებობიდან განთავისუფლება, სხვა მხარეთა თანხმობის გარეშე), ასეთი უფლებების არსებობა, თავისთავად, არ წარმოადგენს გადაწყვეტ ფაქტორს იმის დასადგენად, გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი მოქმედებს თუ არა, უპირველეს ყოვლისა, სხვების სახელით და მათი ინტერესების სასარგებლოდ. გარდა ამისა, რაც უფრო მეტია იმ მხარეთა რაოდენობა, რომლებსაც ერთად მოქმედება სჭირდებათ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის თანამდებობიდან განთავისუფლების უფლებების რეალიზებისთვის და რაც უფრო მეტი სხვა ეკონომიკური ინტერესები (ე.ი. ანაზღაურება და სხვა ფორმით მონაწილეობა) გააჩნია გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს და რაც უფრო მაღალია ამგვარ ინტერესებთან დაკავშირებული ცვალებადობის ხარისხი, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა (წონა) უნდა მიენიჭოს ამ ფაქტორს ანალიზის დროს.
- ბ66. გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა, იმის დასადგენად, რწმუნებულია თუ არა ის, ჩამორთმევის უფლებების ანალოგიურად, აუცილებლად უნდა გაანალიზოს სხვა მხარეთა რეალური უფლებებიც, რომლებიც ზღუდავს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის თავისუფალ მოქმედებას. მაგალითად, გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი, რომელსაც თავის მოქმედებებთან დაკავშირებით მოეთხოვება სხვა მცირერიცხოვან მხარეთა თანხმობა, როგორც წესი, არის რწმუნებული. (უფლებებისა და მათი რეალურობის დადგენის შესახებ დამატებითი მითითებების გასაცნობად იხ. პუნქტები ბ22-ბ25)
- ბ67. სხვა მხარეთა უფლებების ანალიზი უნდა მოიცავდეს ნებისმიერი უფლების შეფასებას, რომლის რეალიზებაც შეუძლია ინვესტირებული საწარმოს დირექტორთა საბჭოს (ან სხვა მმართველ ორგანოს) და ასევე ამ უფლებების გავლენის შეფასებას გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის უფლებამოსილებაზე. (იხ. ბ23(ბ) პუნქტი)

ანაზღაურება

- ბ68. რაც უფრო მაღალია გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ცვალებადობის ხარისხი, ინვესტირებული საწარმოს საქმიანობიდან მისაღებ მოსალოდნელ შემოსავლებთან მიმართებით, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არის მარწმუნებელი.
- ბ69. გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა, იმის დასადგენად, მარწმუნებელია ის თუ რწმუნებული, ასევე უნდა განიხილოს, არსებობს თუ არა შემდეგი პირობები:
- გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის ანაზღაურება განისაზღვრება გაწეული მომსახურების შესაბამისად;
 - ანაზღაურების გადახდის შესახებ შეთანხმება მოიცავს მხოლოდ ისეთ ვადებს, პირობებსა და თანხებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, გაითვალისწინება ანალოგიური მომსახურების შეთანხმებებში, ხოლო აუცილებელი კვალიფიკაციის დონე განისაზღვრება სტანდარტული კომერციული პრინციპით.
- ბ70. გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი ვერ იქნება რწმუნებული, თუ ბ69(ა) და (ბ) პუნქტებში აღწერილი პირობები არ არსებობს. თუმცა, ამ პირობების არსებობა, თავისთავად, საკმარისი არ არის დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არის რწმუნებული.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ფორმის მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობასთან

- ბ71. გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა, რომელსაც სხვა ინტერესები გააჩნია ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით (მაგალითად, ინვესტიციები ინვესტირებული საწარმოში, ან ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების გარანტირებას უზრუნველყოფს), უნდა გააანალიზოს თავისი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ამგვარი მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობასთან, როდესაც აფასებს, არის თუ არა ის რწმუნებული. ინვესტირებულ საწარმოში სხვა ფორმის მონაწილეობა იმის მიმანიშნებელია, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს მარწმუნებელი.
- ბ72. გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა, როდესაც აფასებს სხვა სახის მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობის რისკებს, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:
- რაც უფრო მეტი სხვა ეკონომიკური ინტერესები (ე.ი. ანაზღაურება და სხვა ფორმით მონაწილეობა) გააჩნია გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს და რაც უფრო მაღალია ამგვარ ინტერესებთან დაკავშირებული ცვალებადობის ხარისხი, მისი ანაზღაურებისა და სხვა ინტერესების ერთობლივად გათვალისწინებით, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არის მარწმუნებელი;
 - განსხვავდება თუ არა მისი ცვალებადი შემოსავლების მიღების რისკები სხვა ინვესტორების ანალოგიური რისკებისგან და თუ ასეა, გავლენას იქონიებს თუ არა ეს მის მოქმედებებზე. მაგალითად, ასეთი სიტუაცია შეიძლება მაშინ წარმოიშვას, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს გააჩნია სუბორდინირებული წილები ინვესტირებულ საწარმოში, ან ინვესტირებული საწარმოს საკრედიტო რეიტინგის ამაღლებას უზრუნველყოფს სხვა ფორმით.

გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა თავისი რისკები უნდა შეაფასოს ინვესტირებული საწარმოს მთლიანი შემოსავლების ცვალებად ხასიათთან მიმართებით. ამგვარი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა იმ შემოსავალს, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ინვესტირებული საწარმოს საქმიანობიდან, მაგრამ ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მაქსიმალური დაქვემდებარება რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის სხვა ფორმის მონაწილეობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებადობასთან.

გამოყენების მაგალითები

მე-13 მაგალითი

გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი (ფონდის მმართველი) აფუძნებს ფონდს, ბაზარზე რეკლამას უკეთებს და მართავს ფონდის მიერ რეგულირებულ ფასიან ქალაქებს (რომლებიც იყიდება საფონდო ბირჟაზე) ზუსტად განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია საინვესტიციო მანდატში, ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინვესტორების წინაშე ფონდს რეკლამა უკეთდება, როგორც ინვესტიციის განხორციელებას საფონდო ბირჟაზე კოტირებული საწარმოების წილობრივი ინსტრუმენტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, ფონდის მმართველს მინიჭებული აქვს მოქმედების თავისუფლება იმ აქტივების შერჩევის საკითხში, რომელშიც უნდა განხორციელოს ინვესტიცია. ფონდის მმართველმა ფონდში ჩადო 10% პროპორციული ინვესტიცია და გაწეული მომსახურებისთვის ჰონორარს იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რომელიც ფონდის წმინდა აქტივების ღირებულების 1%-ის ტოლია. ჰონორარი შესაბამისობაშია გაწეულ მომსახურებასთან. ფონდის მმართველს ფონდის ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ მისი ინვესტიციის, ანუ 10%-იანი წილის ფარგლებში. ფონდს არ მოეთხოვება და არც აქვს შექმნილი დირექტორების დამოუკიდებელი საბჭო. ინვესტორებს არ გააჩნიათ რაიმე რეალური უფლებები, რომლებიც გავლენას იქონიებდა ფონდის მმართველის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე, მაგრამ შეუძლიათ თავიანთი წილების გამოსყიდვა (მიმოქცევიდან ამოღება), ფონდის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში.

მართალია, ფონდის მმართველი მოქმედებს საინვესტიციო მანდატით გათვალისწინებული პარამეტრების ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ფონდის მმართველს გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების უფლებები, რომლებიც მას მიმდინარე მომენტში ფონდის რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს: ინვესტორებს არ გააჩნიათ რეალური უფლებები, რომლებიც გავლენას იქონიებდა ფონდის მმართველის გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებაზე.

ფონდის მმართველი ჰონორარს იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან და ამავე დროს მას ფონდში ჩადებული აქვს პროპორციული ინვესტიცია. ანაზღაურება და ფონდში განხორციელებული ინვესტიციები ფონდის მმართველს უქვემდებარებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, თუმცა, ამგვარი რისკების სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ამის საფუძველზე ფონდის მმართველი მიჩნეულიყო მარწმუნებლად.

ამ მაგალითში ფონდის მმართველის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფონდიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, შეზღუდული პარამეტრების ფარგლებში მისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების გათვალისწინებით, იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის რწმუნებული. ამგვარად, ფონდის მმართველი დაასკვნის, რომ ის არ აკონტროლებს ფონდს.

მე-14 მაგალითი

გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი აფუძნებს, რეკლამას უკეთებს ბაზარზე და მართავს ფონდს, რომელიც საინვესტიციო შესაძლებლობებს აძლევს ინვესტორებს. გადაწყვეტილების მიმღებმა სუბიექტმა (ფონდის მმართველი) გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ყველა ინვესტორის ინტერესების სასარგებლოდ და ფონდის მართვის შეთანხმებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ფონდის მმართველს თავისუფალი მოქმედების ფართო უფლებები აქვს მინიჭებული გადაწყვეტილებების მიღების საკითხში. ფონდის მმართველი გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურებას იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რომელიც ტოლია ფონდის მიერ მართული აქტივების 1%-ის და ფონდის მთლიანი მოგების 20%-ის, თუ მიღწეული იქნება მოგების წინასწარ დადგენილი დონე. ფონდის მმართველის ანაზღაურება შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან.

გამოყენების მაგალითები

გაგრძელება

მართალია, ფონდის მმართველმა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ყველა ინვესტორის ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ მას გააჩნია გადაწყვეტილების მიღების საკითხში ფართო თავისუფალი მოქმედების უფლებამოსილება, ფონდის რელევანტური საქმიანობების მართვის ფარგლებში. ფონდის მმართველს უხდინა ფიქსირებულ ანაზღაურებას და ასევე ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, რაც მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობაშია. გარდა ამისა, ამ ანაზღაურებას ფონდის მმართველის ინტერესები შესაბამისობაში მოჰყავს სხვა ინვესტორების ინტერესებთან, რაც მდგომარეობს ფონდის ღირებულების გაზრდაში ისე, რომ არ წარმოქმნის რისკებს, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, რაც ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდება, როგორც ანაზღაურება, თუ ანალიზის დროს ფონდის მმართველი ცალ-ცალკე განიხილავდა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის მარწმუნებელი.

ამ მაგალითში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და ანალიზი ვრცელდება მომდევნო 14ა-14გ მაგალითებზეც. თითოეული მაგალითი ცალ-ცალკე განიხილება.

მაგალითი 14ა

ფონდის მმართველს ასევე გააჩნია 2% ინვესტიცია ფონდში, რასაც მისი ინტერესები შესაბამისობაში მოჰყავს სხვა ინვესტორების ინტერესებთან. ფონდის მმართველს ფონდის ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ მისი ინვესტიციის, ანუ 2% ინვესტიციის ფარგლებში. ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის მმართველის განთავისუფლება თანამდებობიდან ხმის უბრალო უმრავლესობით, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

ფონდის მმართველის ინვესტიციის წილი 2% ზრდის მის რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან ისე, რომ არ წარმოქმნის ისეთ მნიშვნელოვან რისკებს, რომლებიც იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ ფონდის მმართველი არის მარწმუნებელი. სხვა ინვესტორების უფლებები, გაათავისუფლონ ფონდის მმართველი, მიიჩნევა დამცავ უფლებებად, რადგან მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. ამ მაგალითში მართალია, ფონდის მმართველს გააჩნია ფართო თავისუფალი მოქმედების უფლებამოსილება გადაწყვეტილებების მიღების საკითხში და ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მისი წილიდან და ანაზღაურების სახით მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, მაგრამ ფონდის მმართველის რისკის ქვეშ მყოფი ანაზღაურების სიდიდე იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის რწმუნებული. ამგვარად, ფონდის მმართველი დაასკვნის, რომ ის არ აკონტროლებს ფონდს.

მაგალითი 14ბ

ფონდის მმართველს გააჩნია არსებითზე მეტი პროპორციული ინვესტიციები ფონდში, მაგრამ ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ თავისი ინვესტიციის ფარგლებში. ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის მმართველის განთავისუფლება თანამდებობიდან ხმის უბრალო უმრავლესობით, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

ამ მაგალითში სხვა ინვესტორების უფლებები, გაათავისუფლონ ფონდის მმართველი, მიიჩნევა დამცავ უფლებებად, რადგან მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. მართალია, ფონდის მმართველს უხდინა ფიქსირებულ ანაზღაურებას და ასევე ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგების მიხედვით, რაც შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან, მაგრამ ფონდის მმართველის ინვესტიციამ, მის ანაზღაურებასთან ერთად, შეიძლება წარმოქმნას რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან; ამასთან, რისკის ქვეშ მყოფი შემოსავლების სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფონდის მმართველის მარწმუნებლობაზე მიანიშნებს.

<p>გამოყენების მაგალითები</p>
<p style="text-align: right;"><i>გაგრძელება</i></p> <p>რაც უფრო მეტი ეკონომიკური ინტერესები გააჩნია ფონდის მმართველს ფონდთან მიმართებით და რაც უფრო მაღალია ამგვარ ინტერესებთან დაკავშირებული ცვალებადობის ხარისხი (მისი ანაზღაურებისა და სხვა ფორმით მონაწილეობის ერთობლივად განხილვისას), ფონდის მმართველმა მით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ანალიზის დროს ამ ეკონომიკურ ინტერესებს და უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ფონდის მმართველი იქნება მარწმუნებელი.</p> <p>მაგალითად, განიხილავს რა თავის ანაზღაურებას და სხვა ფაქტორებს, ფონდის მმართველმა შეიძლება თავისი ინვესტიციები, 20%-ის ოდენობის, საკმარისად მიიჩნიოს დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, რომ ის აკონტროლებს ფონდს. თუმცა, სხვა გარემოებებში (ანუ, იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურება, ან სხვა ფაქტორები განსხვავებული იქნებოდა), კონტროლი შეიძლება წარმოქმნილიყო სხვა დონის ინვესტიციებიდან.</p> <p>მაგალითი 14გ</p> <p>ფონდის მმართველს გააჩნია 20% პროპორციული ინვესტიცია ფონდში, მაგრამ ზარალის დაფინანსების საკითხში ვალდებულება ეკისრება მხოლოდ თავისი ინვესტიციის 20%-იანი წილის ფარგლებში. ფონდში შექმნილია დირექტორთა საბჭო, რომლის ყველა წევრი დამოუკიდებელია ფონდის მმართველთან მიმართებით და დანიშნულები არიან სხვა ინვესტორების მიერ. საბჭო ფონდის მმართველს ნიშნავს ყოველწლიურად. თუ საბჭო გადაწყვეტს, რომ ფონდის მმართველს არ უნდა განუახლოს შრომითი ხელშეკრულება, მომსახურება, რომელსაც ფონდს უწევდა ფონდის მმართველი, შეიძლება შეასრულოს ამ დარგში მომუშავე სხვა მმართველებმა.</p> <p>მართალია, ფონდის მმართველს ფიქსირებულ ანაზღაურებას უხდიან და ასევე ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, რაც მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობაშია, მაგრამ ფონდის მმართველის ინვესტიციის 20%-იანი წილი მის ანაზღაურებასთან ერთად წარმოქმნის ფონდის მმართველის დაქვემდებარებას რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან. ამასთან, რისკის ქვეშ მყოფი შემოსავლების სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფონდის მმართველის მარწმუნებლობაზე მიანიშნებს. თუმცა, ინვესტორებს გააჩნიათ რეალური უფლებები, თანამდებობიდან გაათავისუფლონ ფონდის მმართველი: დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მექანიზმს იმის გარანტირებისთვის, რომ ინვესტორებს შეეძლოთ ფონდის მმართველის განთავისუფლება, თუ ამის გაკეთებას გადაწყვეტენ.</p> <p>ამ მაგალითში ფონდის მმართველი ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეალურ ჩამორთმევის უფლებებს. ამგვარად, მართალია, ფონდის მმართველს თავისუფალი მოქმედების ფართო უფლებები გააჩნია და ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, რომელსაც იღებს ანაზღაურების ფორმით და ასევე ინვესტიციებიდან, მაგრამ სხვა ინვესტორების რეალური უფლებები იმის მიმანიშნებელია, რომ ფონდის მმართველი არის რწმუნებული. ამგვარად, ფონდის მმართველი დაასკვნის, რომ ის არ აკონტროლებს ფონდს.</p> <p>მე-15 მაგალითი</p> <p>ინვესტირებული საწარმო შექმნილია აქტივებით უზრუნველყოფილი ფიქსირებულგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესაძენად, რომელიც ფინანსდება ფიქსირებულგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტებითა და წილობრივი ინსტრუმენტებით. წილობრივი ინსტრუმენტები განკუთვნილია სავალო ინსტრუმენტების მფლობელთა (ვალის ინვესტორები) დასაცავად საწყისი ზარალისგან და ინვესტირებული საწარმოს ნარჩენი ღირებულების მისაღებად. ამ გარიგების შესახებ პოტენციურ ვალის ინვესტორებს ინფორმაცია მიეწოდება, რომ ეს არის ინვესტიცია აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების პორტფელში, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. რომელიც დაკავშირებულია პორტფელის აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გადაუხდელობისა და პორტფელის მართვასთან დაკავშირებულ საპროცენტო განაკვეთის რისკებთან.</p>

გამოყენების მაგალითები

გავრძელება

პორტფელის ფორმირების მომენტში წილობრივი ინსტრუმენტები შეადგენს შემენილი აქტივების ღირებულების 10%-ს. მიმოქცევაში მყოფი აქტივების პორტფელს მართავს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი (აქტივების მმართველი), საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების მეშვეობით იმ პარამეტრების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია ინვესტირებული საწარმოს პროსპექტში. ამ მომსახურებისთვის აქტივების მმართველი ანაზღაურებას იღებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით (ე.ი. სამართავი აქტივების ღირებულების 1%-ს) და ასევე ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება საქმიანობის შედეგების მიხედვით (ე.ი. მოგების 10%), თუ ინვესტირებული საწარმოს მოგება გადააჭარბებს გარკვეულ დონეს. მისი ანაზღაურება შესაბამისობაშია აქტივების მმართველის მიერ გაწეულ მომსახურებასთან. აქტივების მმართველს ეკუთვნის ინვესტირებული საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (კაპიტალის) 35%. დანარჩენი 65% და ყველა სავალო ინსტრუმენტი ეკუთვნის მრავალრიცხოვან, ძალიან დაქსაქსულ ინვესტორებს, რომლებიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ (არადაკავშირებულ) მესამე მხარეებს. აქტივების მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლება, მიზეზების აუხსნელად, შეუძლია სხვა ინვესტორების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

აქტივების მმართველს უხდებიან ფიქსირებულ ანაზღაურებას და ასევე ანაზღაურებას, რომელიც განისაზღვრება ფონდის საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით, რაც მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობაშია. ამ ანაზღაურებას აქტივების მმართველის ინტერესები შესაბამისობაში მოჰყავს სხვა ინვესტორების ინტერესებთან, რაც მდგომარეობს ფონდის ღირებულების გაზრდაში. აქტივების მმართველი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, რომელსაც იღებს ფონდის საქმიანობიდან (რადგან ის არის კაპიტალის 35% წილის მფლობელი) და ასევე მომსახურების ანაზღაურებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ აქტივების მმართველი მოქმედებს ინვესტირებული საწარმოს პროსპექტში განსაზღვრული პარამეტრების ფარგლებში, მას მიმდინარე მომენტში გააჩნია ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლებზე: სხვა ინვესტორების ჩამორთმევის უფლებებს ანალიზში მცირე მნიშვნელობა (წონა) ენიჭება, რადგან ამ უფლებების მფლობელები არიან მრავალრიცხოვანი ძალიან დაქსაქსული ინვესტორები.

ამ მაგალითში აქტივების მმართველმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თავის დაქვემდებარებას რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია ფონდის შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, რომელსაც იღებს წილობრივ ინსტრუმენტებში (კაპიტალში) ფლობილი წილიდან, რომელსაც სუბორდინირებული მდგომარეობა უკავია სავალო ინსტრუმენტებთან მიმართებით. კაპიტალის 35% წილი წარმოქმნის სუბორდინირებულ რისკს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოს ზარალთან და ასევე უფლებებს შემოსავლებზე, რომელთა სიდიდე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმაზე მინიშნებს, რომ აქტივების მმართველი არის მარწმუნებელი. ამგვარად, აქტივების მმართველი დაასკვნის, რომ ის აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს.

მე-16 მაგალითი

გადაწყვეტილების მიმღები (სპონსორი) აფინანსებს მრავალგამყიდველიანი კომერციული ქალაქების ემიტენტ სპეციალიზებულ სუბიექტს, რომელიც უშვებს მოკლევადიან სავალო ინსტრუმენტებს, არადაკავშირებული (დამოუკიდებელი) მესამე მხარე ინვესტორებისთვის. ამ გარიგების რეკლამაში პოტენციურ ინვესტორებს ეცნობათ, რომ ეს არის ინვესტიცია მაღალი რეიტინგის მქონე საშუალოვადიან აქტივებში, რომელსაც გააჩნია მინიმალური საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია პორტფელის აქტივების ემიტენტების მხრიდან ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობასთან. მრავალი ცედენტი ყიდის მაღალი ხარისხის საშუალო ვადიან აქტივების პორტფელს ამ საშუალოვადიან სუბიექტზე. თითოეული ცედენტი ემსახურება აქტივების იმ პორტფელს, რომელსაც ის მიჰყიდის საშუალოვადიან სუბიექტს და, ამავე დროს, საბაზრო განაკვეთებზე დაფუძნებული მომსახურების ანაზღაურების გადაუხდელობის შემთხვევაში, მართავს დებიტორულ დავალიანებებს.

გამოყენების მაგალითები
<p style="text-align: right;"><i>გავრძელება</i></p> <p>გარდა ამისა, თითოეული ცედენტი თავისი აქტივების პორტფელისთვის უზრუნველყოფს საკრედიტო დანაკარგებით განპირობებული პირველი ზარალის დაცვას, საშუაშაველო სუბიექტისთვის გადაცემული აქტივების ჭარბი უზრუნველყოფის მეშვეობით. სპონსორი ადგენს საშუაშაველო სუბიექტის პირობებს და მართავს მის ოპერაციებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრული საზღაურის სანაცვლოდ. ეს საზღაური შესაბამისობაშია გაწეულ მომსახურებასთან. სპონსორი ამტკიცებს იმ გამყიდველებს, რომლებსაც საშუაშაველო სუბიექტისთვის აქტივების მიყიდვის უფლება ეძლევათ, ამტკიცებს აქტივებს, რომლებიც უნდა შეისყიდოს საშუაშაველო სუბიექტმა და გადაწყვეტილებებს იღებს საშუაშაველო სუბიექტის დაფინანსების შესახებ. სპონსორმა უნდა იმოქმედოს ყველა ინვესტორის ინტერესების გათვალისწინებით.</p> <p>სპონსორს გააჩნია უფლება საშუაშაველო სუბიექტის ნებისმიერ ნარჩენ შემოსავალზე და ასევე ის უწევს საშუაშაველო სუბიექტს საკრედიტო რეიტინგის ამაღლებისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფის მომსახურებას. სპონსორის მიერ საკრედიტო რეიტინგის ამაღლების მიზნით გაწეული მომსახურება ანეიტრალურს საშუაშაველო სუბიექტის ყველა აქტივის თითქმის 5%-მდე ზარალს, მას შემდეგ, რაც ზარალს შთანთქავენ ცედენტები. ლიკვიდობის უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა არ ხდება დაუფარავ აქტივებთან მიმართებით. ინვესტორებს არ გააჩნიათ რეალური უფლებები, რომლებიც გავლენას იქონიებდა სპონსორის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე.</p> <p>მართალია, სპონსორს მომსახურებისთვის ანაზღაურებას უხდიან საბაზრო განაკვეთების მიხედვით, რაც შესაბამისობაშია მის მიერ გაწეულ მომსახურებასთან, მაგრამ სპონსორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საშუაშაველო სუბიექტის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან, რასაც განაპირობებს მისი უფლებები საშუაშაველო სუბიექტის ნებისმიერ ნარჩენ შემოსავალზე და საკრედიტო რეიტინგის ამაღლებისა და ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად გაწეული მომსახურება (ე.ი. საშუაშაველო სუბიექტი ექვემდებარება ლიკვიდობის რისკს, რადგან მოკლევადიან სავალო ინსტრუმენტებს იყენებს საშუალოვადიანი აქტივების დასაფინანსებლად).</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ცედენტს გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებები, რომლებიც გავლენას ახდენს საშუაშაველო სუბიექტის აქტივების ღირებულებაზე, სპონსორს გააჩნია მოქმედებების ფართო თავისუფლება გადაწყვეტილებების მიღების საკითხში, რაც მას მიმდინარე მომენტში ისეთი საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საშუაშაველო სუბიექტის შემოსავლებზე (ე.ი. სპონსორმა დაადგინა საშუაშაველო სუბიექტის პირობები, მას გააჩნია გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქტივებთან დაკავშირებით (ამტკიცებს შესაძენ აქტივებს და ამ აქტივების ცედენტებს)). საშუაშაველო სუბიექტის ნარჩენ შემოსავლებზე უფლება და მისთვის საკრედიტო რეიტინგის ამაღლებისა და ლიკვიდობის მხარდაჭერის მიზნით მომსახურების გაწევა, სპონსორს დაქვემდებარებულს ხდის რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია საშუაშაველო სუბიექტის საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ცვალებად ხასიათთან და ეს რისკები განსხვავდება სხვა ინვესტორების რისკებისგან. მაშასადამე, ზემოაღნიშნული რისკები იმის მიმანიშნებელია, რომ სპონსორი არის მარწმუნებელი და, ამდენად, სპონსორი დაასკვნის, რომ ის აკონტროლებს საშუაშაველო სუბიექტს. სპონსორის ვალდებულება, იმოქმედოს ყველა ინვესტორის ინტერესების სასარგებლოდ, ხელს არ უშლის იმას, რომ სპონსორი მიჩნეული იყოს მარწმუნებლად.</p>

ურთიერთობა სხვა მხარეებთან

ბ73. როდესაც აფასებს კონტროლის არსებობას, ინვესტორმა უნდა გააანალიზოს თავისი ურთიერთობის ხასიათი სხვა მხარეებთან და მოქმედებენ თუ არა ისინი მისი (ინვესტორის) სახელით (ე.ი. არიან თუ არა ისინი „დე ფაქტო რწმუნებულები“). იმის დადგენა, სხვა მხარეები მოქმედებენ თუ არა, როგორც დე ფაქტო რწმუნებულები, საჭიროებს განსჯას, რომლის დროსაც გათვალის-

წინებული უნდა იყოს არა მარტო ურთიერთობის ხასიათი, არამედ ისიც, როგორ ურთიერთ-ქმედებენ ეს მხარეები ერთმანეთთან და ინვესტორთან.

- ბ74. აუცილებელი არ არის, რომ ამგვარი ურთიერთობა გულისხმობდეს ხელშეკრულების სახით გაფორმებულ შეთანხმებას. მხარე მიიჩნევა დე ფაქტო რწმუნებულად, როდესაც ინვესტორს, ან მხარეებს, რომლებიც მართავენ ინვესტორის საქმიანობებს, გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ მართოს ის მხარე, რომელიც მოქმედებს ინვესტორის სახელით. ასეთ სიტუაციაში, ინვესტორმა, როდესაც აფასებს კონტროლის არსებობას ინვესტირებულ საწარმოზე, მისი დე ფაქტო რწმუნებულის გადაწყვეტილების მიღების უფლებები და თავისი არაპირდაპირი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დე ფაქტო რწმუნებულის მეშვეობით ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან ამგვარი შემოსავლის მიღების უფლებები უნდა განიხილოს საკუთარ რისკებთან და უფლებებთან ერთად.
- ბ75. ქვემოთ განხილულია ამგვარი სხვა მხარეების მაგალითები, რომლებიც, მათი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით, შეიძლება წარმოადგენდნენ ინვესტორის დე ფაქტო რწმუნებულებს:
- ა) ინვესტორის დაკავშირებული მხარეები;
 - ბ) მხარე, რომელმაც თავისი წილი ინვესტირებულ საწარმოში მიიღო, როგორც ინვესტორის მიერ განხორციელებული შენატანი, ან ინვესტორის მიერ მიცემული სესხი;
 - გ) მხარე, რომელიც თანახმაა არ გაყიდოს, არ გადასცეს, ან არ გაცვალოს თავისი წილი ინვესტირებულ საწარმოში, ინვესტორის წინასწარი თანხმობის გარეშე (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ინვესტორსა და სხვა მხარეს გააჩნიათ წინასწარი დამტკიცების უფლება და ეს უფლებები ეფუძნება მსურველ დამოუკიდებელ მხარეებს შორის შეთანხმებულ პირობებს);
 - დ) მხარე, რომელსაც არ შეუძლია თავისი ოპერაციების დაფინანსება ინვესტორის სუბორდინირებული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე;
 - ე) ინვესტირებული საწარმო, რომლის მმართველი ორგანოს წევრების უმეტესობა, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალი წარმოდგენილია იმავე პიროვნებებით, რომლებიც არიან ინვესტორის მმართველი ორგანოს წევრები, ან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალი;
 - ვ) მხარე, რომელსაც მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები გააჩნია ინვესტორთან, მაგალითად ურთიერთობა პროფესიული მომსახურების გამწვევსა და ერთ-ერთ მის მნიშვნელოვან კლიენტს შორის.

სპეციფიკური აქტივების კონტროლი

- ბ76. ინვესტორმა უნდა გააანალიზოს, განიხილავს თუ არა ის ინვესტირებული საწარმოს გარკვეულ ნაწილს, როგორც პირობითად დამოუკიდებელ ერთეულს და თუ ასეა, გააჩნია თუ არა კონტროლი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულზე.
- ბ77. ინვესტორმა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიჩნიოს ინვესტირებული საწარმოს გარკვეული ნაწილი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულად, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ინვესტირებული საწარმოს სპეციფიკური აქტივები (და მასთან დაკავშირებული საკრედიტო რეიტინგის ამალღების მომსახურება, თუ არსებობს) არის ერთადერთი წყარო ინვესტირებული საწარმოს სპეციფიკური ვალდებულებების დაფარვის, ან სხვა სპეციფიკური მონაწილეობის ანაზღაურების ერთადერთი წყარო. სხვა მხარეები, რომლებსაც არ ეკუთვნით სპეციფიკური ვალდებულება, არ გააჩნიათ ამ სპეციფიკურ აქტივებთან, ან ამ აქტივების ნარჩენ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული უფლებები ან მოვალეობები. ფაქტობრივად, სპეციფიკური აქტივებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება არ შეუძლია ინვესტირებული საწარმოს დანარჩენ ნაწილს და არც პირობითად დამოუკიდებელი ერთეულის არც ერთი ვალდებულება გადასახდელი არ არის ინვესტირებული საწარმოს დანარჩენი ნაწილის აქტივებიდან. ამგვარად, ფაქტობრივად, პირობითად დამოუკიდებელი ერთეულის ყველა აქტივი, ვალდებულება და კაპიტალი

დაცულია (გამოცალკევებულია) მთლიანი ინვესტირებული საწარმოსგან. ამგვარ პირობითად დამოუკიდებელ ერთეულს ხშირად უწოდებენ „საცავს“.

- ბ78. როდესაც ბ77 პუნქტის პირობა დაკმაყოფილებულია, ინვესტორმა იმის შესაფასებლად, გააჩნია თუ არა მას უფლებამოსილება ინვესტირებული საწარმოს ამ ნაწილზე, უნდა დაადგინოს ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირობითად დამოუკიდებელი ერთეულის შემოსავლებზე და როგორ ხდება ამ საქმიანობების მართვა. როდესაც ინვესტორი აფასებს, გააჩნია თუ არა მას კონტროლი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულზე, მან ასევე უნდა გააანალიზოს, ექვემდებარება თუ არა რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია პირობითად დამოუკიდებელ ერთეულში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია თუ არა პირობითად დამოუკიდებელი ერთეულიდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და იმის შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტირებული საწარმოს ამ ნაწილთან მიმართებით, რათა გავლენა მოახდინოს თავის (ინვესტორის) შემოსავლების სიდიდეზე.
- ბ79. თუ ინვესტორს გააჩნია კონტროლი პირობითად დამოუკიდებელ ერთეულზე, მან უნდა მოახდინოს ინვესტირებული საწარმოს მოცემული ნაწილის კონსოლიდაცია. ასეთ შემთხვევაში, სხვა მხარეებმა უნდა გამორიცხონ ინვესტირებული საწარმოს მოცემული ნაწილი ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის არსებობის დასადგენად ჩატარებული ანალიზიდან და ინვესტირებული საწარმო – კონსოლიდაციისას.

შეფასების უწყვეტობა

- ბ80. თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ შეიცვალა მე-7 პუნქტში ჩამოთვლილი კონტროლის ელემენტებიდან ერთი ან მეტი ელემენტი, ინვესტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს, გააჩნია თუ არა მას კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე.
- ბ81. თუ შეიცვალა უფლებები, რომლის მეშვეობითაც ინვესტორს შეუძლია ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების რეალიზება, აღნიშნული ცვლილება გათვალისწინებული უნდა იყოს ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით ინვესტორის უფლებამოსილების არსებობის შეფასებაში. მაგალითად, გადაწყვეტილებების მიღების უფლებების შეცვლა შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ რელევანტური საქმიანობების მართვა უკვე აღარ ხდება ხმის უფლებების მიხედვით, არამედ რეგულირდება სხვა შეთანხმებებით, მაგალითად ხელშეკრულებებით, რომლებიც სხვა მხარეს, ან მხარეებს ანიჭებს მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას.
- ბ82. ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება, ან დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ მოვლენამ, რომელშიც თვითონ ინვესტორი მონაწილეობას არ იღებს. მაგალითად, ინვესტორმა ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით შეიძლება უფლება მოიპოვოს იმის გამო, რომ ვადა გაუვიდა სხვა მხარის, ან მხარეების გადაწყვეტილებების მიღების უფლებებს, რომლებიც ადრე ხელს უშლიდა ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლის განხორციელებაში.
- ბ83. ინვესტორმა ასევე უნდა გააანალიზოს ის ცვლილებებიც, რომლებიც გავლენას ახდენს რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან ინვესტირებული საწარმოს ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლებაზე. მაგალითად, ინვესტორმა, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, შეიძლება დაკარგოს ინვესტირებულ საწარმოზე კონტროლი, თუ ის დაკარგავს შემოსავლების მიღების უფლებას, ან უკვე აღარ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე, ვინაიდან აღარ აკმაყოფილებს 7(ბ) პუნქტის მოთხოვნას (მაგალითად, თუ შეწყდება ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით ანაზღაურების მიღების ხელშეკრულება).
- ბ84. ინვესტორმა უნდა განიხილოს, ხომ არ შეიცვალა მისი შეფასება იმის შესახებ, რომ ის მოქმედებს როგორც რწმუნებული, ან მარწმუნებელი. ინვესტორსა და სხვა მხარეებს შორის ურთიერთობის ხასიათში მომხდარი ცვლილება შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ინვესტორი უკვე აღარ მოქმედებს, როგორც რწმუნებული, მაშინაც კი, თუ ის წინათ მოქმედებდა, როგორც რწმუნებული და პირიქით. მაგალითად, თუ შეიცვალა ინვესტორის ან სხვა მხარეთა უფლებები, ინვესტორმა ხელახლა უნდა შეაფასოს თავისი სტატუსი – მარწმუნებლის, ან რწმუნებულის.

ბ85. საბაზრო პირობების შეცვლა (მაგალითად, ინვესტირებული საწარმოს შემოსავლების შეცვლა, რაც განაპირობა ბაზრის პირობებმა), თავისთავად, არ იწვევს ინვესტორის თავდაპირველი შეფასების შეცვლას, რომელიც ეხება კონტროლის არსებობას, ან მარწმუნებლის, თუ რწმუნებულის სტატუსს, თუ საბაზრო პირობების შეცვლა არ გამოიწვევს მე-7 პუნქტში ჩამოთვლილი კონტროლის ელემენტებიდან ერთის, ან მეტის შეცვლას, ან მთლიანობაში მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის ურთიერთობის შეცვლას.

როგორ განისაზღვრება, საწარმო მიიჩნევა თუ არა საინვესტიციო საწარმოდ

ბ85ა. საწარმომ უნდა განიხილოს ყველა ფაქტი და გარემოება, როდესაც აფასებს, არის თუ არა ის საინვესტიციო საწარმო, მათ შორის, თავისი მიზანი და სტრუქტურა. საწარმო, რომელსაც ახასიათებს საინვესტიციო საწარმოს განმარტების სამი ელემენტი, რომლებიც აღწერილია 27-ე პუნქტში, მიიჩნევა საინვესტიციო საწარმოდ. ბ85ბ-ბ85ნ პუნქტებში უფრო დეტალურად არის აღწერილი ზემოაღნიშნული განმარტების ელემენტები.

საქმიანობის მიზანი

ბ85ბ. საინვესტიციო საწარმოს განმარტება მოითხოვს, რომ საწარმოს მიზანი უნდა იყოს სახსრების ინვესტირება მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლების მიღების მიზნით კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად, საინვესტიციო შემოსავლის სახით (როგორცაა, დივიდენდები, პროცენტები, ან საიჯარო შემოსავალი), ან ორივე გზით. დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებს, რაში მდგომარეობს საწარმოს საინვესტიციო მიზნები, როგორცაა, მაგალითად საწარმოს საინვესტიციო მემორანდუმი, საწარმოს მიერ გავრცელებული პუბლიკაციები და ასევე სხვა ოფიციალური დოკუმენტები (კორპორაციის, ან ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტები), როგორც წესი, მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საინვესტიციო საწარმოს საქმიანობის მიზნის შესახებ. დამატებით მტკიცებულებებს შეიძლება მიეკუთვნოს ის, რა სახით წარუდგენს საწარმო თავის თავს სხვა მხარეებს (მაგალითად, პოტენციურ ინვესტორებს ან პოტენციურ ინვესტირებულ საწარმოებს); მაგალითად, საწარმო თავის საქმიანობას შეიძლება წარადგენდეს, როგორც საშუალოვადიანი ინვესტიციების განხორციელებას კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნით. ამის საპირისპიროდ, საინვესტიციო საწარმოს საქმიანობის მიზნებს არ შეესაბამება ისეთი საწარმოს საქმიანობის მიზნები, რომელიც თავს წარადგენს, როგორც ინვესტორს, რომლის მიზანია თავის ინვესტირებულ საწარმოებთან ერთად დაამუშაოს, აწარმოოს ან გაყიდოს პროდუქტები, ვინაიდან აღნიშნული საწარმო შემოსავლებს მიიღებს როგორც თავისი ინვესტიციებიდან, ასევე პროდუქტების დამუშავების, წარმოების, ან გაყიდვის შედეგად (იხ. ბ85ი პუნქტი).

ბ85გ. შესაძლებელია, რომ საინვესტიციო საწარმო, პირდაპირ ან შვილობილი საწარმოს მეშვეობით, მესამე მხარეებს უწევდეს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურებას (მაგალითად, საკონსულტაციო მომსახურებას, მომსახურებას ინვესტიციების მართვის საკითხებში, ინვესტიციების მხარდაჭერისა და ადმინისტრირების მომსახურებას) თუნდაც, ეს საქმიანობები არსებითი იყოს საწარმოსთვის, იმ პირობით, თუ იგი ისევ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოს განმარტებას.

ბ85დ. საინვესტიციო საწარმო, პირდაპირ ან შვილობილი საწარმოს მეშვეობით, ასევე შეიძლება მონაწილეობდეს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის საქმიანობაში, თუ ამ საქმიანობების მიზანია ინვესტირებული საწარმოებიდან მისაღები საინვესტიციო შემოსავლის (კაპიტალის ღირებულების ზრდა, ან საინვესტიციო შემოსავალი) მაქსიმალურად გაზრდა და ამ ტიპის საქმიანობები არ წარმოადგენს საინვესტიციო საწარმოს საქმიანობისთვის არსებით განცალკევებულ მიმართულებას, ან შემოსავლების მიღების არსებით განცალკევებულ წყაროს:

- ა) ინვესტირებული საწარმოსთვის ბიზნესის მართვის საკითხებში მომსახურების გაწევა, ან საკონსულტაციო მომსახურება სტრატეგიის საკითხებში; და
- ბ) ინვესტირებული საწარმოსთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, როგორცაა, მაგალითად სესხის მიცემა, კაპიტალის მიწოდების ვალდებულება ან გარანტიები.

ბ85ე. თუ საინვესტიციო საწარმოს გააჩნია შვილობილი საწარმო, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო საწარმო და მისი ძირითადი მიზანი და საქმიანობაა მოცემული საინვესტიციო საწარმოსთვის, ან სხვა მხარეებისთვის ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული ისეთი მომსახურების გაწევა, ან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომლებიც აღწერილია ბ85გ-ბ85დ პუნქტებში, მან ამ შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია უნდა მოახდინოს 32-ე პუნქტის შესაბამისად. თუ შვილობილი საწარმო, რომელიც ასრულებს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურებას ან საქმიანობას, თვითონ საინვესტიციო საწარმოა, მშობელმა საინვესტიციო საწარმომ მოცემული შვილობილი საწარმო უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, 31-ე პუნქტის შესაბამისად.

გამოსვლის სტრატეგია

ბ85ვ. საწარმოს საქმიანობის მიზნის შესახებ მტკიცებულებებს უზრუნველყოფს მისი საინვესტიციო გეგმებიც. ერთ-ერთი ნიშანი, რითიც საინვესტიციო საწარმო განსხვავდება სხვა საწარმოებისგან იმაში მდგომარეობს, რომ საინვესტიციო საწარმო არ გეგმავს ინვესტიციების შენარჩუნებას განუსაზღვრელი ვადით; ის ინარჩუნებს მათ მხოლოდ გარკვეული პერიოდით. ვინაიდან წილობრივ ინსტრუმენტებსა და არაფინანსურ აქტივში განხორციელებულ ინვესტიციებს საწარმო პოტენციურად შეიძლება განუსაზღვრელი ვადით ინარჩუნებდეს, საინვესტიციო საწარმოს უნდა ჰქონდეს დოკუმენტირებული გამოსვლის სტრატეგია, რომელშიც აღწერილი იქნება, როგორ გეგმავს საწარმო კაპიტალის ღირებულების ზრდის რეალიზებას პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციისთვის, რომელიც განხორციელებული აქვს წილობრივ ინსტრუმენტებსა და არაფულად აქტივებში. საინვესტიციო საწარმოს გამოსვლის სტრატეგია ასევე უნდა ჰქონდეს ყველა თავისი სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებიც პოტენციურად შეიძლება შეინარჩუნოს განუსაზღვრელი ვადით, მაგალითად უვადო სავალო ინსტრუმენტებისთვის. საწარმო ვალდებული არ არის, რომ კონკრეტული გამოსვლის სტრატეგია ჰქონდეს თითოეული ინდივიდუალური ინვესტიციისთვის, მაგრამ უნდა განსაზღვროს განსხვავებული პოტენციური სტრატეგია სხვადასხვა ტიპის ინვესტიციისთვის, ან საინვესტიციო პორტფელისთვის, მათ შორის, დასაბუთებული ვადები ინვესტიციების პროექტიდან გამოსვლისთვის. გამოსვლის მექანიზმები, რომლებიც ამოქმედდება მხოლოდ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, ან შეუსრულებლობა, არ მიიჩნევა მოცემული ანალიზის მიზნებისთვის გამოსვლის სტრატეგიად.

ბ85ზ. გამოსვლის სტრატეგია შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს ინვესტიციების ტიპების მიხედვით. არაკოტირებული საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის გამოსვლის სტრატეგიის მაგალითები მოიცავს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების პირველად საჯარო განთავსებას, ფასიანი ქაღალდების დახურულ განთავსებას, ბიზნესის (საწარმოს) გაყიდვას, ინვესტირებულ საწარმოში ფლობილი წილების განაწილებას (ინვესტორებზე) და აქტივების გაყიდვას (მათ შორის, ინვესტირებული საწარმოს აქტივების გაყიდვა ინვესტირებული საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ). ისეთ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის, რომლებიც იყიდება საჯარო ბაზარზე, გამოსვლის სტრატეგიის მაგალითებია ინვესტიციის გაყიდვა დახურული შეთავაზების ფარგლებში, ან საჯარო ბაზარზე. უძრავ ქონებაში განხორციელებული ინვესტიციებისთვის გამოსვლის სტრატეგიის მაგალითია უძრავი ქონების გაყიდვა უძრავი ქონების ბაზარზე, სპეციალიზებული დილერების მეშვეობით, ან ღია ბაზარზე.

ბ85თ. საინვესტიციო საწარმოს შეიძლება გააჩნდეს ინვესტიცია სხვა საინვესტიციო საწარმოში, რომელიც შექმნილია საწარმოსთან კავშირში იურიდიული, მარეგულირებელი, საგადასახადო ან სხვა ანალოგიური ეკონომიკური მიზეზებით. ასეთ შემთხვევაში, ინვესტორი საინვესტიციო საწარმო ვალდებული არ არის, გააჩნდეს ამ ინვესტიციისთვის გამოსვლის სტრატეგია, იმ პირობით, თუ ინვესტირებულ საინვესტიციო საწარმოს თავისი ინვესტიციებისთვის გააჩნია სათანადო გამოსვლის სტრატეგია.

შემოსავალი ინვესტიციებიდან

ბ85ი. მიიჩნევა, რომ საწარმო ინვესტიციებს არ ახორციელებს მხოლოდ კაპიტალის ღირებულების ზრდის შედეგად შემოსავლის მისაღებად, ან საინვესტიციო შემოსავლის მისაღებად, ან ორივე შემთხვევაში მიზნით, თუ საწარმო, ან იმავე ჯგუფის წევრი სხვა საწარმო, რომლის შემადგენლობაშიც ეს საწარმოა (ე.ი. ჯგუფი, რომელსაც აკონტროლებს საინვესტიციო საწარმოს

საბოლოო მშობელი საწარმო), იღებს, ან მიზნად აქვს დასახული, რომ მიიღებს სხვა სახის სარგებელს ანგარიშვალდებული საწარმოს ინვესტიციებიდან, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის ინვესტირებულ საწარმოსთან დაკავშირებული სხვა მხარეებისთვის. ამგვარ სარგებელს განეკუთვნება:

- ა) ინვესტირებული საწარმოს პროცესების, აქტივების ან ტექნოლოგიების შექმნა, გამოყენება, გაცვლა ან ექსპლუატაცია. აქ იგულისხმება ისეთი სიტუაციებიც, როდესაც საწარმოს, ან ჯგუფის წევრ სხვა საწარმოს გააჩნია არაპროპორციული, ან განსაკუთრებული უფლებები ინვესტირებული საწარმოს აქტივების, ტექნოლოგიების, პროდუქტების, ან მომსახურების შექმნაზე; მაგალითად, იმის გამო, რომ გააჩნია ინვესტირებული საწარმოსგან აქტივის ყიდვის ოფციონი იმ შემთხვევაში, თუ აქტივის შექმნა მიიჩნევა წარმატებულად;
- ბ) ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ჯგუფის წევრ სხვა საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის დადებული ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებები (როგორც განმარტებულია ფასს 11-ში), ან სხვა სახის შეთანხმებები, ახალი პროდუქტების, ან მომსახურების შექმნის, წარმოების, გაყიდვის ან მიწოდების შესახებ;
- გ) ფინანსური გარანტიები, ან აქტივები, რომლებსაც ინვესტირებული საწარმო გასცემს ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ჯგუფის წევრი სხვა საწარმოს სასესხო შეთანხმებების უზრუნველყოფის სახით (ამასთან, საინვესტიციო საწარმოს მაინც რჩება იმის შესაძლებლობა, რომ ინვესტირებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გამოიყენოს საკუთარი ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით);
- დ) საწარმოს დაკავშირებული მხარის ოფციონი, რომელიც ეხება საწარმოსგან, ან ჯგუფის წევრი სხვა საწარმოსგან საკუთრების წილის შესყიდვას, რომელიც გააჩნია მოცემულ საწარმოს ინვესტირებულ საწარმოში;
- ე) ბ85კ პუნქტში აღწერილი შემთხვევების გარდა, საწარმოს, ან ჯგუფის წევრ სხვა საწარმოსა და ინვესტირებულ საწარმოს შორის გარიგებები, რომლებიც:
 - (i) დადებულია ისეთი პირობებით, რაც ხელმისაწვდომი არ არის მოცემული საწარმოს, ჯგუფის წევრი სხვა საწარმოს, ან ინვესტირებული საწარმოს არადაკავშირებული მხარე საწარმოთათვის;
 - (ii) დადებული არ არის რეალური ღირებულების მიხედვით; ან
 - (iii) წარმოადგენს ინვესტირებული საწარმოს, ან მოცემული საწარმოს, მათ შორის ჯგუფის წევრი სხვა საწარმოების, სამეწარმეო საქმიანობის არსებით ნაწილს.

ბ85კ. საინვესტიციო საწარმოს შეიძლება გააჩნდეს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის განხორციელებას ერთი და იმავე დარგის, ბაზრის, ან გეოგრაფიული რეგიონის ფარგლებში ერთზე მეტ საწარმოში (ინვესტირებული საწარმო), სინერგიული ეფექტის შედეგად სარგებლის მიღების მიზნით, რაც გამოიწვევს ინვესტირებული საწარმოებიდან მისაღები შემოსავლების გადიდებას კაპიტალის ღირებულების ზრდისა და საინვესტიციო შემოსავლების ზრდის შედეგად. ბ85ი (ე) ქვეპუნქტის მიუხედავად, ამა თუ იმ საწარმოს კლასიფიცირების შესაძლებლობა საინვესტიციო საწარმოდ არ გამოირიცხება მარტო იმიტომ, რომ ამგვარი ინვესტირებული საწარმოები ერთმანეთთან ახორციელებენ კომერციულ ოპერაციებს.

რეალური ღირებულების შეფასება

ბ85ლ. საინვესტიციო საწარმოს განმარტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ საწარმო პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგებს აფასებს და აანალიზებს რეალური ღირებულების საფუძველზე, ვინაიდან რეალური ღირებულების გამოყენებით მიიღება გაცილებით უფრო რელევანტური ინფორმაცია, ვიდრე, მაგალითად შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციის შედეგად, ან მეკავშირე საწარმოებსა თუ ერთობლივ საწარმოებში ფლობილი წილების წილობრივი მეთოდით აღრიცხვისას. იმისათვის, რომ საინვესტიციო საწარმომ აჩვენოს, რომ ის აკმაყოფილებს განმარტების ზემოაღნიშნულ ელემენტს, ის:

- ა) ინვესტირებულს უნდა აწვდიდეს რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციას და ფინანსურ ანგარიშგებაში პრაქტიკულად ყველა თავის ინვესტიციას აფასებდეს რეალური ღირებუ-

ლებით ყველა შემთხვევაში, როდესაც სტანდარტების მიხედვით მოითხოვება ან ნებადართულია რეალური ღირებულებით შეფასება; და

- ბ) შიდა ანგარიშგების მიზნებისთვისაც რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პერსონალს (როგორც ეს ცნება განმარტებული ბასს 24-ში), რომელიც შეფასების ძირითადი ინსტრუმენტის სახით, რეალურ ღირებულებას იყენებს პრაქტიკულად ყველა თავისი ინვესტიციის შედეგების შესაფასებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბ85მ. ბ85ლ (ა) ქვეპუნქტის მოთხოვნის შესასრულებლად, საინვესტიციო საწარმომ:

- ა) ყველა თავისი საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის სახით უნდა აირჩიოს რეალური ღირებულების მოდელი, ბასს 40-ის – „საინვესტიციო ქონება“ – შესაბამისად;
- ბ) მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისთვის უნდა აირჩიოს წილობრივი მეთოდის გამოყენებისგან განთავისუფლების უფლება, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 28; და
- გ) რეალური ღირებულებით უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივები, ფასს 9-ის მოთხოვნების გამოყენებით.

ბ85ნ. საინვესტიციო საწარმოს შეიძლება გააჩნდეს ზოგიერთი ისეთი აქტივი, რომელიც დაკავშირებული არ არის საინვესტიციო საქმიანობასთან, მაგალითად სათავო ოფისის შენობა და შესაბამისი აღჭურვილობა; გარდა ამისა, შეიძლება გააჩნდეს ფინანსური ვალდებულებებიც. 27(გ) პუნქტში მოცემული საინვესტიციო საწარმოს განმარტების რეალური ღირებულების ელემენტი ეხება მხოლოდ საინვესტიციო საწარმოს ინვესტიციებს. შესაბამისად, საინვესტიციო საწარმო ვალდებული არ არის, არასაინვესტიციო დანიშნულების აქტივები, ან ვალდებულებები შეაფასოს რეალური ღირებულებით.

საინვესტიციო საწარმოს ტიპური ნიშნები

ბ85ო. იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა საინვესტიციო საწარმოს განმარტებას, საწარმო უნდა განიხილოს, გააჩნია თუ არა მას საინვესტიციო საწარმოს ტიპური ნიშნები (იხ. 28-ე პუნქტი). ამ ტიპური ნიშნებიდან ერთის, ან რამდენიმეს არარსებობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო არ შეიძლება კლასიფიცირდებოდეს საინვესტიციო საწარმოდ, არამედ ეს იმის ნიშანია, რომ საწარმომ აუცილებლად უნდა ჩაატაროს დამატებითი განხილვა იმის დასადგენად, მიიჩნევა თუ არა ის საინვესტიციო საწარმოდ.

ერთზე მეტი ინვესტიცია

ბ85პ. საინვესტიციო საწარმო, როგორც წესი, რამდენიმე ინვესტიციას ფლობს, თავისი რისკების დივერსიფიცირებისთვის და შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით. საწარმო შეიძლება იყოს საინვესტიციო პორტფელის მფლობელი პირდაპირ, ან არაპირდაპირ, მაგალითად, ერთი ინვესტიციის მეშვეობით სხვა საინვესტიციო საწარმოში, რომელიც თვითონ რამდენიმე ინვესტიციის მფლობელია.

ბ85ჟ. გარკვეულ პერიოდში, შესაძლოა საწარმოს გააჩნდეს ერთი ინვესტიცია. თუმცა, ერთი ინვესტიციის ფლობა აუცილებლად არ არის იმის ნიშანი, რომ საწარმო არ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოს განმარტებას. მაგალითად, საინვესტიციო საწარმოს ერთი ინვესტიცია შეიძლება გააჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) ის საქმიანობის (დაფუძნების შემდეგ) საწყის ეტაპზე იმყოფება და ჯერ არ აქვს განსაზღვრული შესაფერისი ინვესტიციები და, მაშასადამე, ჯერ არ შეუსრულებია თავისი საინვესტიციო გეგმა, რამდენიმე ინვესტიციის შეძენის შესახებ;
- ბ) ჯერ არ შეუძენია სხვა ინვესტიციები, გასული ინვესტიციების შესაცვლელად;
- გ) დაფუძნებულია ინვესტორების სახსრების გაერთიანების მიზნით, მათ დასაბანდებლად ერთ ინვესტიციაში, როდესაც ამ ინვესტიციის განხორციელება შეუძლებელია ცალკეული ინვესტორის მხრიდან (მაგალითად, როდესაც აუცილებელი მინიმალური ინვესტიციის ოდენობა ძალიან დიდია ინდივიდუალური ინვესტორისთვის); ან
- დ) ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება.

ერთზე მეტი ინვესტორი

ბ85რ. როგორც წესი, საინვესტიციო საწარმოს რამდენიმე ინვესტორი უნდა ჰყავდეს, რომლებიც თავიანთ სახსრებს აერთიანებენ, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინვესტიციების მართვის მომსახურება და საინვესტიციო შესაძლებლობები, რაც მათთვის ინდივიდუალურად ხელმისაწვდომი შეიძლება ვერ გახდებოდა. რამდენიმე ინვესტორის ყოლა ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ მოცემული საწარმო, ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმო, რომელსაც ის განეკუთვნება, სარგებელს მიიღებს კაპიტალის ღირებულების ზრდის, ან საინვესტიციო შემოსავლის გარდა სხვა ფორმით (იხ. ბ85ი პუნქტი).

ბ85ს. მეორე მხრივ, საინვესტიციო საწარმო შეიძლება დაფუძნებული იყოს ერთი ინვესტორის მიერ, ან ერთი ინვესტორისთვის, რომელიც წარმოადგენს, ან მხარს უჭერს ინვესტორების უფრო ფართო წრეს (მაგალითად, საპენსიო ფონდი, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, ან ოჯახური ტრასტი).

ბ85ტ. გარკვეულ პერიოდებში შეიძლება საწარმოს მხოლოდ ერთი ინვესტორი ჰყავდეს. მაგალითად, საინვესტიციო საწარმოს მხოლოდ ერთი ინვესტორი შეიძლება ჰყავდეს იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) ის იმყოფება ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების ეტაპზე, რომლის ვადა ჯერ არ დასრულებულა და საწარმო აქტიურად აწარმოებს შესაფერისი ინვესტორების მოძიებას;
- ბ) ჯერ არ განუსაზღვრავს შესაფერისი ინვესტორები, უკვე გამოსყიდული წილების შესაცვლელად; ან
- გ) ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება.

არადაკავშირებული ინვესტორები

ბ85უ. როგორც წესი, საინვესტიციო საწარმოს რამდენიმე ინვესტორი ჰყავს ისეთი, რომლებიც არ არიან საწარმოსთვის, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოებისთვის დაკავშირებული მხარეები (როგორც ეს განმარტებულია ბასს 24-ში), რომელსაც განეკუთვნება მოცემული საწარმო. არადაკავშირებული ინვესტორების ყოლა ამცირებს იმის ალბათობას, რომ საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოები, რომელსაც განეკუთვნება მოცემული საწარმო, სარგებელს მიიღებენ კაპიტალის ღირებულების ზრდის, ან საინვესტიციო შემოსავლის გარდა, სხვა ფორმით (იხ. პუნქტი ბ85ი).

ბ85ფ. თუმცა, საწარმო შეიძლება იმ შემთხვევაშიც აკმაყოფილებდეს საინვესტიციო საწარმოდ კლასიფიცირების მოთხოვნებს, როდესაც მისი ინვესტორები დაკავშირებული მხარეები არიან. მაგალითად, საინვესტიციო საწარმომ შეიძლება დააფუძნოს განცალკევებული „პარალელური“ ფონდი დაქირავებულ პირთა გარკვეული ჯგუფისთვის (მაგალითად, წამყვანი მმართველობითი პერსონალისთვის), ან სხვა დაკავშირებული მხარე ინვესტორ(ებ)ისთვის, რომლის ინვესტიციები საწარმოს ძირითადი საინვესტიციო ფონდის ინვესტიციების ზუსტ ასლს წარმოადგენს. ამგვარი „პარალელური“ ფონდი კლასიფიცირდება საინვესტიციო საწარმოდ, თუნდაც მისი ყველა ინვესტორი დაკავშირებული მხარე იყოს.

საკუთრების წილები

ბ85ქ. საინვესტიციო საწარმო, როგორც წესი, დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტია, თუმცა სავალდებულო არ არის, რომ ასე იყოს. საინვესტიციო საწარმოში საკუთრების წილები, როგორც წესი, შეიძლება არსებობდეს საკუთარი კაპიტალის წილის (აქციების), ან სხვა ანალოგიური წილების სახით (მაგალითად, ამხანაგობის წევრთა წილები), რომლებსაც მიეკუთვნება საინვესტიციო საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი. ამასთან, სხვადასხვა კატეგორიის ინვესტორების არსებობა, რომელთაგან ზოგს უფლებები გააჩნია მხოლოდ კონკრეტულ ინვესტიციაზე, ან ინვესტიციების ჯგუფზე, ან, რომლებსაც სხვადასხვანაირი პროპორციული წილები გააჩნიათ წმინდა აქტივებში, ხელს არ უშლის იმას, რომ საწარმო კლასიფიცირებული იყოს საინვესტიციო საწარმოდ.

ბ85ღ. გარდა ამისა, საწარმოს, რომელსაც მნიშვნელოვანი საკუთრების წილი გააჩნია სავალო ინსტრუმენტების ფორმით, რომლებიც სხვა შესაფერისი სტანდარტების შესაბამისად არ აკმაყოფილებს საკუთარი კაპიტალის განმარტებას, შეიძლება მაინც კლასიფიცირებული იყოს საინვესტიციო საწარმოდ, იმ პირობით, თუ სავალო ინსტრუმენტების მფლობელები ექვემდებარებიან რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, საწარმოს წმინდა აქტივების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად.

ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები

კონსოლიდაციის პროცედურები

ბ86. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

- ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები;
- ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში (იხ ფასს 3, სადაც აღწერილია შესაბამისი გუდვილის აღრიცხვის წესი);
- გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორცაა მარაგები და გრძელვადიანი აქტივები). შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბასს 12 – „მოგებიდან გადასახადები“ – ეხება დროებით სხვაობებს, რომლებიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ოპერაციებიდან მოგებისა და ზარალის თანხების გამოქვითვის შედეგად.

ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკა

ბ87. თუ ჯგუფში შემავალი რომელიმე წევრი ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ გარემოებებში მომხდარი მოვლენებისთვის იყენებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მაშინ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სათანადო კორექტირებები უნდა გაკეთდეს ჯგუფის ზემოაღნიშნული წევრის ფინანსურ ანგარიშგებაში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

შეფასება

ბ88. საწარმო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილი საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს ასახავს იმ თარიღიდან, როდესაც მოიპოვებს კონტროლს და იმ თარიღამდე, როდესაც დაკარგავს კონტროლს ამ შვილობილ საწარმოზე. შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაიანგარიშება შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების საფუძველზე. მაგალითად, კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შეძენის თარიღის შემდეგ აღიარებული ცვეთის ხარჯი უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ცვეთადი აქტივების რეალურ ღირებულებებს, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული იყო შეძენის თარიღისათვის.

პოტენციური ხმის უფლებები

ბ89. როდესაც არსებობს პოტენციური ხმის უფლებები, ან სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ ხმის უფლებებს, პროპორცია, რომლის მიხედვითაც ხდება მოგების, ან ზარალის და საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების მიკუთვნება მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განისაზღვრება მხოლოდ ძალაში შესული საკუთრების წილების საფუძველზე და ეს თანხები არ ასახავს პოტენციური ხმის უფლებების შესაძლო გამოყენებას, ან კონვერტაციას და სხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გამოიყენება ბ90 პუნქტი.

ბ90. გარკვეულ გარემოებებში, საწარმოს, ფაქტობრივად, გააჩნია ძალაში შესული საკუთრების წილი, გამომდინარე გარიგებიდან, რომელიც მიმდინარე მომენტში საწარმოსთვის ხელმისაწვდომს ხდის საკუთრების წილებთან დაკავშირებული შემოსავლების მიღებას. ასეთ სიტუაციაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნებელი ნაწილების თანაფარდობა განისაზღვრება ამგვარი

პოტენციური ხმის უფლებებისა და სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შესაძლო გამოყენების გათვალისწინებით, რომლებიც მიმდინარე მომენტში საწარმოსთვის ხელმისაწვდომს ხდის შემოსავლების მიღებას.

- ბ91. ფასს 9 არ ეხება იმ შვილობილ საწარმოებში ფლობილ წილებს, რომლებიც კონსოლიდირდება. როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს პოტენციურ ხმის უფლებებს, თავისი არსით, მიმდინარე მომენტში საწარმოსთვის ხელმისაწვდომს ხდის შვილობილ საწარმოში ფლობილ საკუთრების წილთან დაკავშირებული შემოსავლების მიღებას, ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არ გამოიყენება ფასს 9-ის მოთხოვნები. ყველა სხვა შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს შვილობილ საწარმოში პოტენციურ ხმის უფლებებს აღირიცხება ფასს 9-ის შესაბამისად.

საანგარიშგებო თარიღი

- ბ92. მშობელ საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც გამოიყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შედგენილი უნდა იყოს ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც მშობელი საწარმოს საანგარიშგებო თარიღი განსხვავდება ზემოაღნიშნული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო თარიღისგან, შვილობილმა საწარმომ კონსოლიდაციის მიზნებისთვის უნდა მოამზადოს დამატებითი ფინანსური ინფორმაცია მშობელი საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის, თუ ამის გაკეთება შეუძლებელი არ არის, რათა მშობელმა საწარმომ შეძლოს შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაცია.
- ბ93. თუ შეუძლებელია ამის გაკეთება, მშობელმა საწარმომ ამგვარი შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდაცია უნდა განახორციელოს შვილობილი საწარმოს ყველაზე ბოლო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც კორექტირებულია იმ მნიშვნელოვანი ოპერაციებისა თუ მოვლენების შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის პერიოდში. ნებისმიერ შემთხვევაში, შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს, ხოლო საანგარიშგებო პერიოდებისა და ფინანსური ანგარიშგებების თარიღებს შორის განსხვავების პერიოდის ხანგრძლივობა ერთნაირი უნდა იყოს წლების მანძილზე.

არამაკონტროლებელი წილი

- ბ94. საწარმომ მოგება, ან ზარალი და „სხვა სრული შემოსავლის“ თითოეული კომპონენტი უნდა გაანაწილოს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, საწარმომ მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე უნდა გაანაწილოს მთლიანი სრული შემოსავალიც, თუნდაც ამან გამოიწვიოს არამაკონტროლებელი წილის უარყოფითი ნაშთი.
- ბ95. თუ შვილობილ საწარმოს მიმოქცევაში გაშვებული აქვს საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებული კუმულაციური პრივილეგიური აქციები, რომლებიც არამაკონტროლებელი წილის მფლობელობაში იმყოფება, მაშინ მშობელმა საწარმომ თავისი წილი მოგებაში ან ზარალში უნდა გაიანგარიშოს ასეთი აქციების დივიდენდების გათვალისწინებით ჩატარებული კორექტირების შემდეგ, იმის მიუხედავად, იყო თუ არა დივიდენდები გამოცხადებული.

არამაკონტროლებელი წილის ხვედრით წილში მომხდარი ცვლილებები

- ბ96. იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება არამაკონტროლებელი წილის საკუთრების ხვედრითი წილი, საწარმომ უნდა გააკორექტიროს მაკონტროლებელი და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულებები, შვილობილ საწარმოში ფლობილი წილების თანაფარდობაში მომხდარი ცვლილების ასახვის მიზნით. სხვაობა არამაკონტროლებელი წილების კორექტირების თანხასა და გადახდილი ან მიღებული კომპენსაციის რეალურ ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს პირდაპირ საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და მიეკუთვნოს მშობელ საწარმოს მესაკუთრებს.

კონტროლის დაკარგვა

ბ97. მშობელმა საწარმომ შვილობილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება დაკარგოს ორი ან მეტი შეთანხმების (ოპერაციის) შედეგად. თუმცა, ზოგჯერ გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მრავალჯერადი გარიგებები უნდა აისახოს როგორც ერთი ოპერაცია. იმის დასადგენად, მრავალჯერადი შეთანხმება უნდა აისახოს თუ არა ერთი ოპერაციის სახით, მშობელმა საწარმომ უნდა განიხილოს ყველა შეთანხმების ყველა პირობა და მათი ეკონომიკური შედეგები. ქვემოთ განხილული სიტუაციიდან ერთ-ერთის, ან მეტის არსებობა შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ მშობელმა საწარმომ მრავალჯერადი გარიგებები უნდა ასახოს, როგორც ერთი ოპერაცია:

- ა) ეს გარიგებები დადებულია ერთსა და იმავე დროს, ან ერთმანეთთან დაკავშირებულად;
- ბ) გარიგებები წარმოქმნის ერთ ოპერაციას, რომელიც განკუთვნილია ერთიანი კომერციული მიზნის მისაღწევად;
- გ) ერთი გარიგების განხორციელება დამოკიდებულია სულ მცირე ერთ სხვა გარიგებაზე მაინც;
- დ) ცალკე განხილული ერთი გარიგება, ეკონომიკური თვალსაზრისით, გამართლებული არ არის, მაგრამ ეკონომიკურად გამართლებულია, როდესაც სხვა გარიგებებთან ერთად განიხილება. მაგალითად, როდესაც აქციების ერთი პარტიის გაყიდვა გათვალისწინებულია საბაზროზე დაბალი ფასით და ამის კომპენსაცია ხდება საბაზროზე მაღალი ფასით მომდევნო პარტიის გაყიდვის შედეგად.

ბ98. თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, იგი:

- ა) წყვეტს:
 - (i) შვილობილი საწარმოს აქტივებისა (მათ შორის გუდვილის) და ვალდებულებების აღიარებას მათი საბალანსო ღირებულებით იმ თარიღისთვის, როდესაც დაკარგა კონტროლი;
 - (ii) წყვეტს ყოფილი შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებების აღიარებას იმ თარიღისთვის, როდესაც კონტროლს კარგავს (მათ შორის, ამ წილზე მისაკუთვნილებელი „სხვა სრული შემოსავლის“ კომპონენტების აღიარებას);
- ბ) აღიარებს:
 - (i) იმ ოპერაციიდან, მოვლენიდან თუ გარემოებებიდან მიღებული კომპენსაციის (თუ ასეთი არსებობს) რეალურ ღირებულებას, რომელმაც გამოიწვია კონტროლის დაკარგვა; და
 - (ii) თუ ოპერაცია, რომელმაც კონტროლის დაკარგვა გამოიწვია, მოიცავს შვილობილი საწარმოს აქციების განაწილებას მის მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, – ამ განაწილებას; და
 - (iii) შვილობილ საწარმოში დარჩენილ ინვესტიციას, კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით;
- გ) ახდენს შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით, სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში აღიარებული თანხების რეკლასიფიკაციას მოგებაში ან ზარალში, ან პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადააქვს, თუ სხვა სტანდარტებით მოითხოვება, ბ99 პუნქტში აღწერილი მეთოდით;
- დ) ამის შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ სხვაობის თანხას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს, მშობელ საწარმოზე მისაკუთვნიებელ მოგებაში ან ზარალში.

ბ99. თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, მშობელმა საწარმომ ამ შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრული შემოსავლის მუხლში ადრე აღიარებული ყველა თანხა იმავე მეთოდით უნდა ასახოს, რომელიც მოეთხოვებოდა, თუ შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებების გასვლა პირდაპირ მშობელი საწარმოდან მოხდებოდა. ამგვარად, თუ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია მოხდებოდა მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, მშობელი საწარმო შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაციას ახდენს საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (რეკლასიფიკაციის კორექტირების სახით), როდესაც კონტროლს კარგავს

შვილობილ საწარმოზე. ანალოგიურად, თუ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადაფასების ნამეტი გადატანილი იქნებოდა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აქტივის გასვლასთან დაკავშირებით, მშობელმა საწარმომ გადაფასების ნამეტის თანხა უნდა გადაიტანოს პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე.

ბ99ა. *[ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.]*

საინვესტიციო საწარმოს სტატუსის შეცვლის ასახვა

- ბ100. როდესაც საწარმო აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო საწარმოდ კლასიფიცირების მოთხოვნებს, მან უნდა გამოიყენოს ფასს 3 ყველა შვილობილ საწარმოსთან მიმართებით, რომლებიც ადრე შეფასებული ჰქონდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, 31-ე პუნქტის შესაბამისად. საინვესტიციო საწარმოს საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღი საწარმომ უნდა მიიჩნიოს პირობითი შეძენის თარიღად. პირობითი შეძენის შედეგად წარმოქმნილი გუდვილის, ან ხელსაყრელი შეძენის შემოსულობის შეფასებისას, პირობითი შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული, შვილობილი საწარმოს რეალური ღირებულება მიჩნეულ უნდა იქნეს შეძენისთვის გადაცემულ პირობით კომპენსაციად. საწარმომ საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღიდან უნდა განახორციელოს ყველა შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია, წინამდებარე სტანდარტის 19-24 პუნქტების შესაბამისად.
- ბ101. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო გახდება (კლასიფიცირდება) საინვესტიციო საწარმო, მან უნდა შეწყვიტოს შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია საწარმოს საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღიდან, იმ შვილობილი საწარმოების გარდა, რომელთა კონსოლიდაცია ისევ გაგრძელდება 32-ე პუნქტის შესაბამისად. იმ შვილობილი საწარმოების მიმართ, რომელთა კონსოლიდაციასაც წყვეტს, საინვესტიციო საწარმომ 25-ე და 26-ე პუნქტების მოთხოვნები იმგვარად უნდა გამოიყენოს, თითქოსდა საინვესტიციო საწარმომ ამ შვილობილ საწარმოებზე კონტროლი დაკარგა საკლასიფიკაციო სტატუსის შეცვლის თარიღიდან.

დანართი გ

ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ სტანდარტზე გადასვლა

ეს დანართი სტანდარტის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე ძალა აქვს, როგორც მოცემული სტანდარტის სხვა ნაწილებს.

ძალაში შესვლის თარიღი

- გ1. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო მოცემული სტანდარტის გამოყენებას დაიწყებს უფრო ადრეული პერიოდისთვის, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და იმავდროულად გამოიყენოს ფასს 11, ფასს 12, ბასს 27 – „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 28 (2011 წლის შეცვლილი ვერსია).
- გ1ა. 2012 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ერთობლივი საქმიანობა და განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ: მითითებები აღრიცხვის ახალ მეთოდებზე გადასვლის შესახებ“ (ფასს 10-ის, ფასს 11-ისა და ფასს 12-ის შესწორებები) – გამოიწვია გ2-გნ პუნქტების შეცვლა და გ2ა-გ2ბ, გ4ა-გ4გ, გ5ა და გნა-გნბ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუ საწარმო ფასს 10-ს იყენებს უფრო ადრეული პერიოდისთვის, მაშინ ზემოაღნიშნული ცვლილებებიც იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს.
- გ1ბ. 2012 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „საინვესტიციო საწარმოები“ – (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები), გამოიწვია მე-2, მე-4, გ2ა პუნქტებისა და „ა“ დანართის შეცვლა და 27-33-ე, ბ85ა-ბ85დ, ბ100-ბ101 და გ3ა-გ3ვ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და იმავდროულად უნდა გამოიყენოს დოკუმენტში – „საინვესტიციო საწარმოები“ – გათვალისწინებული ყველა ცვლილება.
- გ1გ. [ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ დოკუმენტში.]
- გ1დ. 2014 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა – „საინვესტიციო საწარმოები - კონსოლიდაციიდან განთავისუფლების მოთხოვნების გამოყენება“ (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-4, 32-ე, ბ85გ, ბ85ე და გ2ა პუნქტების შეცვლა და 4ა-4ბ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

მოცემულ სტანდარტზე გადასვლა

- გ2. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, ბასს 8-ის – „საადრინდელი პოლიტიკა, ცვლილებები საადრინდელი შეფასებებში და შეცდომები“ – შესაბამისად, ყველა შემთხვევაში, გარდა გ2ა-გნ პუნქტებში აღწერილისა.

- გ2ა. ბასს 8-ის 28-ე პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტს, ან როდესაც პირველად გამოიყენებს მოცემულ სტანდარტში შესულ ცვლილებებს, რომლებიც გამოიწვია დოკუმენტებმა „საინვესტიციო საწარმოები“ და – „საინვესტიციო საწარმოები - კონსოლიდაციიდან განთავისუფლების მოთხოვნების გამოყენება“ (თუ ამ ცვლილებებს უფრო გვიან იყენებს), მან ბასს 8-ის 28 (ვ) პუნქტით მოთხოვნილი რაოდენობრივი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მხოლოდ იმ წლიური პერიოდის შესახებ, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს („უშუალო წინა პერიოდი“) პირველ წლიურ პერიოდს, როდესაც საწარმო იწყებს წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას. საწარმოს ასევე უფლება აქვს, ინფორმაცია წარმოადგინოს მიმდინარე წლის, ან უფრო ადრინდელი შესაძარისი პერიოდების შესახებ, მაგრამ მას არ ევალება ამის გაკეთება.
- გ2ბ. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღად მიიჩნევა იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც საწარმო მოცემულ სტანდარტს პირველად გამოიყენებს.
- გ3. ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის საწარმოს არ ევალება კორექტირებების გაკეთება ადრინდელი ადრიცხვის წესებში, რომელსაც იყენებდა თავისი მონაწილეობის ასახვისთვის:
- საწარმოებში, რომლებიც კონსოლიდირებული უნდა ყოფილიყო ამ თარიღისათვის ბასს 27-ის – „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ და იმკ 12-ის – „კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები“ – შესაბამისად და ისევე კონსოლიდირდება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად; ან
 - საწარმოებში, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო კონსოლიდირებული ამ თარიღისათვის ბასს 27-ისა და იმკ 12-ის შესაბამისად და არ კონსოლიდირდება არც წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.
- გ3ა. წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის საწარმომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა ის საინვესტიციო საწარმო, ამ თარიღისათვის არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის საწარმო დაასკვნის, რომ ის მიიჩნევა საინვესტიციო საწარმოდ, მან, გ5-გ5ა პუნქტების მოთხოვნების ნაცვლად, უნდა გამოიყენოს გ3ბ-გ3ვ პუნქტების მოთხოვნები.
- გ3ბ. იმ შვილობილი საწარმოების გარდა, რომლებიც კონსოლიდირდება 32-ე პუნქტის შესაბამისად (რომელთა მიმართაც გამოიყენება გ3 და გ6, ან გ4-გ4გ პუნქტები, საჭიროებისამებრ), საინვესტიციო საწარმომ თავისი ინვესტიცია თითოეულ შვილობილ საწარმოში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით იმგვარად, თითქოს ყოველთვის წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები მოქმედებდა. საინვესტიციო საწარმომ რეტრო-სპექტულად უნდა გააკორექტიროს როგორც იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, ასევე უშუალო წინა პერიოდის დასაწყისის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალის მონაცემი, შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის გათვალისწინებით:
- შვილობილი საწარმოს ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
 - საინვესტიციო საწარმოს მიერ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციის რეალური ღირებულება.
- რეალური ღირებულებების კორექტირების მთლიანი თანხა, რომელიც ადრე აღიარებული იყო „სხვა სრულ შემოსავალში“, საწარმომ უნდა გადაიტანოს იმ წლიური პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს.
- გ3გ. სანამ ფასს 13-ის – „რეალური ღირებულების შეფასება“ – გამოყენებას დაიწყებს, საინვესტიციო საწარმომ უნდა გამოიყენოს რეალური ღირებულების ის მნიშვნელობები, რომლებიც ადრე წარედგინათ ინვესტორებს, ან ხელმძღვანელობას, თუ ეს არის თანხა, რომლითაც შესაძლებელი იყო ინვესტიციის გაცვლა შეფასების თარიღისათვის საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში.

- გ3დ. თუ შეუძლებელია (ბასს 8-ში მოცემული განმარტების თანახმად) შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის შეფასება გ3ბ-გ3გ პუნქტების შესაბამისად, საინვესტიციო საწარმომ წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, რომლის მიმართაც შესაძლებელია გ3ბ-გ3გ პუნქტების გამოყენება, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდი იყოს. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, საკუთარი კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.
- გ3ე. თუ საინვესტიციო საწარმომ გაასხვისა შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია, ან კონტროლი დაკარგა შვილობილ საწარმოზე ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, საინვესტიციო საწარმოს არ ევალება ამ შვილობილი საწარმოს მიმართ ადრე გამოყენებული სააღრიცხვო მეთოდის კორექტირება.
- გ3ვ. თუ საწარმო იმაზე უფრო გვიან დაიწყებს დოკუმენტით – „საინვესტიციო საწარმოები“ – გათვალისწინებული ცვლილებების გამოყენებას, როდესაც პირველად გამოიყენა ფასს 10, მაშინ მან გ3ა-გ3ე პუნქტებში მითითებული „თავდაპირველი გამოყენების თარიღის“ ნაცვლად უნდა იგულისხმოს „იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც ის პირველად იყენებს 2012 წლის ოქტომბერში გამოცემული დოკუმენტით – „საინვესტიციო საწარმოები“ (ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 27-ის შესწორებები) – გათვალისწინებულ ცვლილებებს.
- გ4. თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ინვესტორი დაასკვნის, რომ მან უნდა მოახდინოს ისეთი ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაცია, რომელიც ადრე არ იყო კონსოლიდირებული ბასს 27-ისა და იმკ 12-ის შესაბამისად, ინვესტორმა უნდა იმოქმედოს შემდეგნაირად:
- ა) თუ ინვესტირებული საწარმო წარმოადგენს საწარმოს (ფასს 3-ში – „საწარმოთა გაერთიანება“ – მოცემული განმარტების შესაბამისად), ინვესტორმა იმგვარად უნდა შეაფასოს ადრე არაკონსოლიდირებული ინვესტირებული საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და არამაკონტროლებელი წილი, თითქოს ეს ინვესტირებული საწარმო კონსოლიდირებული იყო (და, მაშასადამე, მის მიმართ გამოიყენებოდა შეძენის აღრიცხვის მეთოდი ფასს 3-ის შესაბამისად) იმ თარიღიდან, როდესაც ინვესტორმა მოიპოვა კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს. თუ ინვესტორი დაადგენს, რომ კონტროლის მოპოვების თარიღი წინ უსწრებს წინა პერიოდის დასაწყისს, მან უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საკუთარი კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:
 - (i) აღიარებული აქტივების, ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის თანხა; და
 - (ii) ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის მონაწილეობის წილის ამსახველი ადრინდელი საბალანსო ღირებულება.
 - ბ) თუ ინვესტირებული საწარმო არ წარმოადგენს საწარმოს (ფასს 3-ში – „საწარმოთა გაერთიანება“ – მოცემული განმარტების შესაბამისად), ინვესტორმა ადრე არაკონსოლიდირებული ინვესტირებული საწარმოს აქტივები, ვალდებულებები და არამაკონტროლებელი წილი იმგვარად უნდა შეაფასოს, თითქოს ეს ინვესტირებული საწარმო კონსოლიდირებული იყო (ფასს 3-ის შეძენის მეთოდით, მაგრამ აღიარებული არ იყო გუდვილი ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით) იმ თარიღიდან, როდესაც ინვესტორმა კონტროლი მოიპოვა ინვესტირებულ საწარმოზე, წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს. თუ კონტროლის მოპოვების თარიღი წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ინვესტორმა უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საკუთარი კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- (i) აღიარებული აქტივების, ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის თანხა; და
- (ii) ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის მონაწილეობის წილის ამსახველი ადრინდელი საბალანსო ღირებულება.

გ4ა. თუ შეუძლებელია (ბასს 8-ში მოცემული განმარტების თანახმად) ინვესტირებული საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის შეფასება გ4(ა), ან გ4(ბ) პუნქტის შესაბამისად, ინვესტორმა უნდა იმოქმედოს შემდეგნაირად:

- ა) თუ ინვესტირებული საწარმო წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორმა ფასს 3-ის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს პირობითი შეძენის თარიღისთვის. პირობითი შეძენის თარიღი იქნება ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია გ4(ა) პუნქტის გამოყენება, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდი იყოს;
- ბ) თუ ინვესტირებული საწარმო არ წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორმა უნდა გამოიყენოს ფასს 3-ით გათვალისწინებული შეძენის მეთოდი, მაგრამ არ უნდა აღიაროს გუდვილი ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, პირობითი შეძენის თარიღისთვის. პირობითი შეძენის თარიღი იქნება ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია გ4(ბ) პუნქტის გამოყენება, რაც შეიძლება მიმდინარე პერიოდი იყოს.

ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს. თუ პირობითი შეძენის თარიღი წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ინვესტორმა, უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საკუთარი კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- გ) აღიარებული აქტივების, ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილების თანხა; და
- დ) ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის მონაწილეობის წილის ამსახველი ადრინდელი საბალანსო ღირებულება.

თუ ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს, საკუთარი კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

გ4ბ. თუ ინვესტორი იყენებს გ4-გ4ა პუნქტებს და წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული კონტროლის მოპოვების თარიღი იქნება ფასს 3-ის 2008 წლის შესწორებული ვერსიის ძალაში შესვლის თარიღის შემდგომი თარიღი, ინვესტორმა გ4 და გ4ა პუნქტებში მითითებულ ფასს 3-ში უნდა იგულისხმოს ფასს 3-ის 2008 წლის შესწორებული ვერსია. თუ კონტროლის მოპოვების თარიღი წინ უსწრებს ფასს 3-ის (2008 წ.) ძალაში შესვლის თარიღს, ინვესტორმა უნდა გამოიყენოს ან ფასს 3 (2008 წ.), ან ფასს 3 (2004 წელს გამოცემული).

გ4გ. თუ ინვესტორი იყენებს გ4-გ4ა პუნქტებს და წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული კონტროლის მოპოვების თარიღი იქნება ბასს 27-ის 2008 წლის შესწორებული ვერსიის ძალაში შესვლის თარიღის შემდგომი თარიღი, ინვესტორმა წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ყველა პერიოდისთვის, რომლისთვისაც ინვესტირებული საწარმო კონსოლიდირებულია რეტროსპექტულად, გ4-გ4ა პუნქტების შესაბამისად. თუ კონტროლის მოპოვების თარიღი წინ უსწრებს ბასს 27-ის (2008 წ.) ძალაში შესვლის თარიღს, ინვესტორმა უნდა გამოიყენოს:

- ა) წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ყველა პერიოდისთვის, რომლისთვისაც ინვესტირებული საწარმო კონსოლიდირებულია რეტროსპექტულად, გ4-გ4ა პუნქტების შესაბამისად; ან
- ბ) 2003 წელს გამოცემული ბასს 27-ის მოთხოვნები იმ პერიოდებისთვის, რომლებიც წინ უსწრებს ბასს 27-ის (2008 წ.) ძალაში შესვლის თარიღს, ხოლო მომდევნო პერიოდებისთვის – წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები.

გ5. თუ მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ინვესტორი დაასკვნის, რომ მან აღარ უნდა მოახდინოს იმ ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაცია, რომელიც ადრე კონსოლიდირებული იყო ბასს 27-ისა და იმკ 12-ის შესაბამისად, ინვესტორმა თავისი წილი ინვესტირებულ საწარმოში უნდა შეაფასოს იმ თანხით, რომლითაც შეაფასებდა იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ძალაში იქნებოდა შესული იმ დროს, როდესაც ინვესტორი ჩაერთო ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში (მაგრამ კონტროლი არ ჰქონდა მოპოვებული წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად), ან როდესაც მან კონტროლი დაკარგა ინვესტირებულ საწარმოზე. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს. თუ თარიღი, როდესაც ინვესტორი ჩაერთო ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში (მაგრამ კონტროლი არ ჰქონდა მოპოვებული წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად), ან როდესაც მან კონტროლი დაკარგა ინვესტირებულ საწარმოზე, წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ინვესტორმა უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საკუთარი კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- ა) აქტივების, ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილის ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
- ბ) ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის მონაწილეობის წილთან დაკავშირებით აღიარებული თანხა.

გ5ა. თუ შეუძლებელია (ბასს 8-ში მოცემული განმარტების თანახმად) ინვესტირებულ საწარმოში ფლობილი წილის შეფასება გ5 პუნქტის შესაბამისად, ინვესტორმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, რომლისთვისაც შესაძლებელია გ5 პუნქტის გამოყენება, რაც შეიძლება იყოს მიმდინარე პერიოდი. ინვესტორმა რეტროსპექტულად უნდა გააკორექტიროს იმ წლიური პერიოდის მონაცემები, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს. თუ თარიღი, როდესაც ინვესტორი ჩაერთო ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში (მაგრამ არ ჰქონდა კონტროლი მოპოვებული წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად), ან როდესაც მან კონტროლი დაკარგა ინვესტირებულ საწარმოზე წინ უსწრებს უშუალო წინა პერიოდის დასაწყისს, ინვესტორმა უშუალო წინა პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საკუთარი კაპიტალის მონაცემის კორექტირების სახით, უნდა აღიაროს სხვაობა შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

- ა) აქტივების, ვალდებულებებისა და არამაკონტროლებელი წილების ადრინდელი საბალანსო ღირებულება; და
- ბ) ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის მონაწილეობის წილთან დაკავშირებით აღიარებული თანხა.

თუ ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც შესაძლებელია ამ პუნქტის გამოყენება, წარმოადგენს მიმდინარე პერიოდს, საკუთარი კაპიტალის კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის დასაწყისში.

გ6. 23-ე, 25-ე, 894 და 896-899 პუნქტები მოიცავს ცვლილებებს, რომლებიც ბასს 27-ში შეტანილ იქნა 2008 წელს და გადმოტანილია ფასს 10-ში. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო იყენებს გ3 პუნქტს, ან მოეთხოვება გ4-გ5ა პუნქტების გამოყენება, საწარმომ ამ პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა გამოიყენოს შემდეგნაირად:

- ა) საწარმომ არ უნდა გადაიანგარიშოს იმ საანგარიშგებო პერიოდების მოგება, ან ზარალი, რომლებიც წინ უსწრებს თარიღს, როდესაც საწარმომ პირველად გამოიყენა 894 პუნქტით გათვალისწინებული შესწორება;
- ბ) 23-ე და 896 პუნქტების მოთხოვნები, რომლებიც ეხება შვილობილ საწარმოში ფლობილ საკუთრების წილის დონეში კონტროლის მოპოვების თარიღის შემდეგ მომხდარი ცვლილებების აღრიცხვის წესს, არ ეხება იმ ცვლილებებს, რომლებიც მანამ მოხდა, სანამ საწარმო პირველად გამოიყენებდა ამ შესწორებებს;

- გ) საწარმომ არ უნდა გადაიანგარიშოს ყოფილ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულება, თუ მან კონტროლი დაკარგა მანამ, სანამ პირველად გამოიყენებდა 25-ე და 897-899 პუნქტებში ასახულ შესწორებებს. გარდა ამისა, საწარმომ არ უნდა გადაიანგარიშოს იმ შვილობილი საწარმოს კონტროლის დაკარგვით წარმოქმნილი შემოსულობა, ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნა მანამ, სანამ პირველად გამოიყენებდა 25-ე და 897-899 პუნქტებში აღწერილ შესწორებებს.

მინიშნება „უშუალო წინა პერიოდზე“

- გნა. მიუხედავად იმისა, რომ გ3ბ-გ5ა პუნქტებში მინიშნება კეთდება „უშუალო წინა პერიოდზე“, საწარმოს ასევე უფლება აქვს, კორექტირებული შესადარისი ინფორმაცია წარმოადგინოს უფრო ადრეული ნებისმიერი წარდგენილი პერიოდებისთვისაც, მაგრამ არ ევალება ამის გაკეთება. თუ საწარმო წარმოადგენს ზემოაღნიშნული ადრეული პერიოდების კორექტირებულ შესადარის ინფორმაციას, მან, გ3ბ-გ5ა პუნქტებში ნახსენები „უშუალო წინა პერიოდის“ ნაცვლად, უნდა იგულისხმოს „წარდგენილი პერიოდებიდან ყველაზე ადრეული კორექტირებული შესადარისი პერიოდი“.
- გნბ. თუ საწარმო წარმოადგენს არაკორექტირებულ შესადარის ინფორმაციას რომელიმე წინა პერიოდის შესახებ, მან ნათლად უნდა მიუთითოს, რომელი ინფორმაცია არ არის კორექტირებული და აღნიშნოს, რომ ეს ინფორმაცია მომზადებულია სხვა საფუძველით და ახსნას, რა საფუძველია ეს.

მინიშნება ფასს 9-ის გამოყენებაზე

- გ7. თუ საწარმო წინამდებარე სტანდარტს იყენებს, მაგრამ ჯერ არ იყენებს ფასს 9-ს, მან უნდა იგულისხმოს ბასს 39 – „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“ – ყველგან, სადაც მითითებულია ფასს 9-ის გამოყენება.

სხვა სტანდარტების გაუქმება

- გ8. წინამდებარე სტანდარტმა ჩაანაცვლა ბასს 27-ით (2008 წლის შეცვლილი ვერსია) გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ეხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.
- გ9. წინამდებარე სტანდარტმა ასევე ჩაანაცვლა იმკ 12 – „*კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები*“.